ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

**მადრიდში ქართული კრიმინალური დაჯგუფების 25 წევრი დააკავეს**

**ადვოკატი: „ბრალდების მხარემ მოითხოვა, ბადრი ესებუასგან ხმის ნიმუში აიღონ. ეჭვი ბრალდებასაც გაუჩნდა“**



გვ.5

სამშაბათი, 21 თებერვალი, 2023 №36 (9072) ფასი: 80 თეთრი

# „გახარიამ პასუხი უნდა აგოს. ვის სჯერა მისი ბოდიშისა და ცუღლუტობის!“



გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „2019 წლის მერე ველოდებით და, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, ეთქვა ყოფილ პრემიერ გახარიას. აგერ უკვე 2023 წელია“





გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ერთ მხარეს არის ცივილიზებული დასავლეთი და მეორე მხარეს – რუსეთი. სამწუხაროდ, საქართველო თავისი პოლიტიკითა და რიტორიკით სწორედ რუსეთთან აღმოჩნდა“

# „ომში ჩართვაზე ლაპარაკი სისულელეა“

## „ვაშინგტონი სააკაშვილის საკითხს სხვანაირად უყურებს“



გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „მათთვის, ვინც საქართველოს აკნინებს, სააკაშვილს კი ბერკეტად იყენებს, ლაგმის ამოდება ამერიკას შეუძლია“

## „რუსეთის სპეცსამსახურებმა ბაიდენის კიევში ვიზიტის შესახებ, სავარაუდოდ, არ იცოდნენ“



გვ.3

ამირან სალუქვაძე: „რუსეთს დიდი საინფორმაციო რესურსი აქვს. ბაიდენის ვიზიტის შესახებ წინასწარ რომ სცოდნოდათ, წამყვანი არხები თავს სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაიგდებდნენ“



გვ.2

## „ბაიდენის უკრაინაში ჩასვლა პირადი სიმამაცის გამოხატვაა“

ვალერი ჩეჩელაშვილი: „კიევი რომ დღეს დგას, ეს იმას ნიშნავს, უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში!“



გვ.4

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს“



გვ.5

**მამაკაცმა ორი ათასი კვერცხი შეჭამა და წონაში 32 კილოგრამი დაიკლო**



გვ.7

**ილიას ზუროსი: „ნიდერლანდებთან მატჩი ჩვენთვის ფინალია“**



გვ.5

**რამდენჯერმე სახელშეცვლილმა მამაკაცმა რომანი 250 ქალთან გააბა**

1993230720223

5 ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები აღიკვეთა

6 რუსთაველის საზოგადოება სოკოებივით მომრავლებულ საახლობლო ჯილდოებს აპროტესტებს

5 მამაკაცმა ქალს სექსის შემდეგ სექსსათამაშოების კოლექცია მოჰპარა

6 აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი რუსეთს ბრალს სდებს

# „გახარიამ პასუხი უნდა აგოს. ვის სჯერა მისი ბოდიშისა და ცუღლუტობის!“

## თაკო ჩარკვიანი: „2019 წლის მერე ველოდებით და, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, ეთქვა ყოფილ პრემიერ გახარიას. აგერ უკვე 2023 წელია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

***– ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? გიორგი გახარიას გამოჩენა ოპოზიციიდან ბევრს არ მოეწონა, მათ შორის თქვენც. რა ჩაიფიქრა ყოფილმა პრემიერმა, ეს არის მზადება 2024-ისთვის?***

– გახარია ცდილობს, მისი რეანიმაცია მოხდეს. მე კი ვეუბნები, რომ ვერ მოხდება. არ ხდება ასე.

***– რაღაცას ბოლომდე არ ამბობსო. ასე ფიქრობთ?***

– 2019 წლის მერე ველოდებით და, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, ეთქვა. აგერ უკვე 2023 წელია. ვინ მოტყუვდება გახარიას სისულელით. მისი ბრენდული ნიშანი გახდა ბოდიში. ბასიანის მერე – ბოდიში, თვალებს დაგთხრით – ბოდიში, პანკისის მოვლენები – ბოდიში. რა ხდება? ბოდიში შველის საქმეს?! დარბევის გამო ჩვენ პასუხი მოვთხოვეთ ადამიანებს. ვანო მერაბიშვილი 7 წელი იჯდა სამარტოო საკანში სწორედ 7 ნოემბრის გამო. მიხეილ სააკაშვილს პასუხს სთხოვენ პატიმრების შეწყალების გამო, თორემ გირგვლიანის მკვლელობაში თვითონ კი არ მიუღია მონაწილეობა.

***– ანუ გახარიამ პასუხი უნდა აგოს? ამაზე მიანიშნებთ?***

– აბა რა! არ უნდა აგოს?! პირველი პირი იყო ქვეყანაში. იმის იქით თანამდებობა არ არსებობს. პრემიერი იყო! პოლიტიკაში რაღაც გამორიცხული ამბავი ყოველთვის არის და ეს არის გახარია! თუ ვინმე ვერ მობრუნდება, ეს იქნება გახარია! ეგრე არ არის, პასუხი არა მაქვს, თვალს ჩაგიპაჭუნებ და შენ იგულისხმე. მე რა უნდა ვიგულისხმო, დასთხარა ადამიანებს თვალები. დათვის ტყვიები იყო გამოყენებული! ამის მერე დააწინაურეს და დიახ, ურცხვად დათანხმდა დაწინაურებას! ვის სჯერა მისი მაიმუნობისა და ცუღლუტობის!

***– ქალბატონო თაკო, ოპოზიცია ცდილობს აქციებით ხალხის ქუჩაში გამოყვანას, მაგრამ ეს ვერ ხერხდება. არ გამოდის ხალხი.***



– მოხერხდება, აუცილებლად მოხერხდება. მიმდინარეობს მუშაობა და მარტი აუცილებლად იქნება აქციებით დატვირთული. ვიცი, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ. ძალიან ბევრი! მსხვილ ოპოზიციურ პარტიას ჰყავდა სრულიად სამარცხვინოდ მიძინებული „ლიდერი“.

***– ახლა ხომ ჰყავს ახალი ლიდერი, ის რას აკეთებს?***

– ახალი ლიდერი ორი კვირაა, რაც აირჩიეს. მე თვალს ვადევნებ და ამ ორი კვირის განმავლობაში არ ჩაუმუხლავს. თუ რამეს არ გააკეთებს, მასაც ისევე მოსთხოვენ პასუხს, როგორც მის წინამორბედს. 6%-მდე დაყვანილი პარტია ჩააბარეს. სწორედ მელიამ ჩამოიყვანა პარტია 37%-დან 6%-მდე. აი, ამ ტიპის პარტია ჩაიბარა და რეგიონებიდან არ გამოდის, ისეთი მუშაობა მიმდინარეობს. დანარჩენს დაველოდოთ, ვნახოთ.

***– რას იტყვით ხელისუფლების ბოლოდროინდელ პოლიტიკაზე? ირაკლი ღარიბაშვილმა მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციიდან ბევრი გზავნილი გააჟღერა. მან განაცხადა, რომ სააკაშვილი კარგი მსახიობია, რომ ვნახავთ, ამ ომის შემდეგ სად იქნება ევროპა. რას ნიშნავს ეს?***

– ეს ნიშნავს, რომ ის არის რუსი, პუტინის გზის გამგრძელებელი. აღვირახსნილი, კოლაბორაციონერი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი იდგა ტრიბუნასთან და თავს სჭრიდა დასავლეთის გზაზე დიდი ხნის ოცნებით მოსიარულე საქართველოს. სამარცხვინო გამოსვლა იყო სრულიად, რომლის მსგავსიც დიდი ხანია, არ მომისმენია.

***– და რატომ არ არის შემხვედრი რეაგირებაც საზოგადოებისგან, არც ოპოზიციისგან. რა ხდება, რატომ მიჰყვება ასე ყველა დინებას?***

– მე ვფიქრობ, რომ იმ შეცდომებმა, რომლებიც ოპოზიციამ დაუშვა, ხალხს გული გაუტეხა. ბევრს არ მოსწონს ოპოზიციიდან ჩემი სიმართლე, მაგრამ მერე მაინც იმას აკეთებენ, რასაც მე ვამბობ. მაინც ხომ ქუჩამდე მიდიან?! ხომ ფაქტია?

***– იქნება კი სერიოზული პროტესტი? კი, ხაზეიშვილი დადის მთელ საქართველოში, მაგრამ ამბობენ, რომ მისი 200-კაციანი აქციები შედეგს ვერ დადებს.***

– ვნახოთ, დაველოდოთ. ჩვენ ხომ გვინდა, რომ დაიდოს შედეგი, ჰოდა, დაველოდოთ. მე კი მაქვს ინფორმაცია, რომ დადებს. რამდენიმე შეხვედრა თავადაც ვნახე და შედეგი უეჭველად დაიდება. დაველოდოთ, ნუ ვიჩქარებთ. სირცხვილია, ახლა ხაზეიშვილს რაღაც ვუსაყვედუროთ. ორი კვირის არჩეული თავმჯდომარეა. სხვა თუ არაფერი, კონკურენცია შემოიტანა პოლიტიკურ ველზე. ყველა ამოძრავდა.

***– ფიქრობთ, რომ ამ პარტიის რღვევა არ მოხდება? რომან გოცირიძემ დატოვა ნაცმოძრაობა. ამბობენ, რომ სხვებიც წავლენ.***

– მერე რა მოხდა, რა პრობლემაა? წავლენ და სხვებით შეივსება. რომან გოცირიძემ პარტია დატოვა, თუმცა რატომღაც დარჩა პარლამენტში. პარტია დატოვა, მანდატი – არა. ეს თავად გაარკვიონ. ჩემი გასარკვევი არ არის. ოთხი კაცი წავა პარტიიდან თუ ხუთი, ამით არ გადაწყდება პარტიის ბედი.

***– მიხეილ სააკაშვილს რა ელის? მთელი დასავლეთისგან ვისმენთ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ განცხადებებს, რეზოლუციებს, მაგრამ არ ადარდებს ეს ჩვენს ხელისუფლებას.***

– არ ადარდებს, იმიტომ, რომ ძლიერი ბრძოლა ვერ დაანახეს ოპოზიციამ და ხალხმა. ოპოზიცია ისევ იყურება წინსწრებით სადღაცსადღაც და ასე არ გამოვა არაფერი. ხალხი შეცდომებს არ გაპატიებთ, რით ვერ გაიგო ეს ოპოზიციამ! დააკვირდით, ყოველთვის ასეა, საკმარისია, დაინიშნოს რაიმე სერიოზული აქცია – 24-ში ყველანი ვიკრიბებით – საკმარისია, ასეთი აქცია დაინიშნოს, რომ ეგრევე გაააქტიურებენ ბურჯანაძეს, მერე რომ გვეძახონ, თქვენ მაგიდასთან გიზით ბურჯანაძეო. ერთხელ ვიხუმრე, ეს ადამიანი ჩაგვიდეს-მეთქი.

***– რატომ? ნინო ბურჯანაძეც მწვავე ოპოზიციაშია ამ ხელისუფლებასთან?***

– არ არსებობს, საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგეს ბურჯანაძე, პოლიტიკოსი, რომელმაც საქართველოსთვის ინატრა ისეთი პრეზიდენტი, როგორიც არის პუტინი. ბურჯანაძე რუსეთის მიერ შექმნილი ფეიკია. მას მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა ოპოზიციის დისკრედიტაცია სჭირდებათ.

***– ქალბატონო თაკო, თქვენზეც მოვისმინე, თაკო ჩარკვიანიც იყო ამ ხელისუფლებასთან დაახლოებული და ამჟამინდელ პრემიერთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდაო.***

– ვინ პრემიერთან? ღარიბაშვილთან? რა ურთიერთობა უნდა მქონოდა? ეს ფეიკინფორმაციაა. მე არც „ოცნების“ პარტიის წევრი ვყოფილვარ არც სიით, არც პარტიით. მე მაშინ ცვლილების მომხრე ვიყავი. იმდროინდელ ხელისუფლებასთან, სააკაშვილის ხელისუფლებას ვგულისხმობ, ვიყავი ოპოზიციაში. მინდა გაგახსენოთ, რომ ძალიან ვემხრობოდი ირაკლი ალასანიას, ოღონდ არც მისი პარტიის წევრი ვყოფილვარ. საიდან მოაქვთ ასეთი აბსურდები?! ვიყავი ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე? დიახ, ვიყავი. ვემხრობოდი ცვლილებებს? დიახ! მაშინ მთელი საქართველო ემხრობოდა ამას. თუმცა „ოცნების“ გუნდის წევრი არასდროს ვყოფილვარ. მე მეგონა, რომ რაც კარგი იყო მიშას დროს, იმას დატოვებდნენ და, რაც უბედურება იყო, იმას შეცვლიდნენ, ვგულისხმობ სასამართლოსა და პენიტენციარულ სისტემას და ამათ რა ქნეს?! პირიქით, დააწინაურეს მურუსიძე, ხოლო თუ რამე ცუდი იყო, ყველაფერი გააასმაგეს. ვიღაც რიგითი იყო მურუსიძე და ამათ დააწინაურეს, მთელი სასამართლო სისტემა ჩააბარეს.

# „ბაიდენის უკრაინაში ჩასვლა პირადი სიმამაცის გამოხატვაა“

## ვალერი ჩეჩელაშვილი: „კიევი რომ დღეს დგას, ეს იმას ნიშნავს, უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დიპლომატი ვალერი ჩეჩელაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ვალერი, რუსეთ-უკრაინის ომიდან ერთი წლის თავზე ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კიევში ჩადის. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი და რის თქმა უნდოდა ამით ამერიკის პრეზიდენტს?***

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი, რაც ნიშნავს იმას, რომ პირველ რიგში ამერიკას არავითარი ეჭვი არ ეპარება იმ ფაქტში, რომ უკრაინა გაიმარჯვებს ამ ბარბაროსულ ომში, რომელიც რუსეთმა გააჩაღა უკრაინის ტერიტორიაზე. ეს ერთი და მეორეც, ეს უნდა განვიხილოთ საერთაშორისო მოვლენათა კონტექსტში. გასულ კვირაში იყო რამშტაინი, ნატოს შეხვედრა და მიუნხენის კონფერენცია და ეს ყოველივე დიდი ძახილის ნიშნით დააგვირგვინა ბაიდენმა უკრაინაში ჩასვლით.

მესამე – ეს არის ძალიან სერიოზული გზავნილი კოალიციისთვის, იმ გლობალური კოალიციისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატები და რომლითაც ამაყობს პრეზიდენტი ბაიდენი და რომლისაც ეშინია ზოგ ჩვენს პოლიტიკოსს. რა თქმა უნდა, ეს ჩასვლა დაჩრდილავს ყველაფერს იმას, რაც არ უნდა მოხდეს ამ დღეებში მოსკოვში. იქ დაგეგმილია პარლამენტში პუტინის გამოსვლა, რაღაც განცხადებები, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა უკვე ამას აღარ მიენიჭება. ამ კვირის მთავარი მოვლენაა ბაიდენის ჩასვლა კიევში! ეს არის ძახილის ნიშნის დასმა.

***– სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ამით უკრაინას?***

– დიახ, ეს იყო სრული მხარდაჭერის ჩვენება. ეს ფაქტი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ განცხადებებიც იქნება ძალიან ძლიერი.

***– ჩვენი ხელისუფლებისთვის რამდენად არის გზავნილი? მიუნხენის კონფერენცია ახსენეთ და ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ძალიან რთული სიტუაციაა, გამოსავალი არ ჩანს, არავინ იცის, ეს ომი როდის დასრულდება. რას ნიშნავს ასეთი შეფასებები?***

– მე ვფიქრობ, შეიძლება ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა არ იცის, ეს ომი როგორ დამთავრდება, მაგრამ პრეზიდენტმა ბაიდენმა ძალიან კარგად იცის, როგორ დამთავრდება ეს ომი. რომ არ სცოდნოდა, დღეს არც ჩავიდოდა კიევში! ვფიქრობ, რომ ამერიკის დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება და შეხვედრებს მართავს, შესაბამის განმარტებებს შეხვედრებზე გაუკეთებს იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც არ სჯერათ უკრაინის გამარჯვების.

***– ერთ-ერთი ჩვენი ხელისუფლებაა, რომელსაც არ სჯერა ამის?***

– არის ხალხი, რომელიც იმთავითვე, თებერვალში და მარტში საუბრობდა იმაზე, რომ უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში, მაშინ როდესაც კიევის მისადგომებთან იყო ბრძოლები და დღეს ეს სრულიად ნათელია. ამაზე ბევრი ფაქტორი მიუთითებს.

***– ამ ომის შემდეგ არავინ იცის, სად იქნება ევროპაო. რას ნიშნავდა პრემიერის ეს განცხადება?***

– ეს მას უნდა ვკითხოთ. მე ძალიან კარგად ვიცი, სად იქნება ევროპა. ევროპა ამ ომის შემდეგ გამოვა გაძლიერებული. შეიქმნება ახალი უსაფრთხოების სისტემა, რომლის ერთ-ერთი საკვანძო დასაყრდენი, სერიოზული კომპონენტი იქნება ახალი, ძლიერი და დემოკრატიული უკრაინა. მე უფრო სხვა რამე მადარდებს...

***– ჩვენ სად ვიქნებით?***

– აი, ეგ მადარდებს ზუსტად, სად იქნება საქართველოს როლი ამ უსაფრთხოების სისტემაში, ვინაიდან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, რა ორმხრივი ურთიერთობები გვექნება მაგ მომენტისთვის ჩვენ უკრაინასთან. აი, ამაზე იქნება ბევრი რამ დამოკიდებული. ამიტომ, თუ დღეს რამის გაკეთება შეგვიძლია, პირველ რიგში, უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობები უკრაინასთან და გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები. ძალიან სამწუხაროა, რომ მიუნხენის კონფერენცია არ იქნა გამოყენებული საიმისოდ, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედროდა თავის უკრაინელ კოლეგას, მაგრამ ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ არის გამოსასწორებელი, ვინაიდან დრო არ ითმენს და ყოველდღე ვკარგავთ ძალიან მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ამაზე იქნება დამოკიდებული ის, თუ რამდენად უმტკივნეულოდ შეგვეძლება ევროპის ახალი უსაფრთხოების კონტექსტში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით, ვინაიდან აქ დაგვჭირდება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების უპირობო დახმარება და ეს მოითხოვს ნდობას, მაღალი დონის დიალოგს, რაც დღეს, სამწუხაროდ, აშკარად გვაკლია და ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს!

***– ბაიდენი აცხადებს: ერთი წლის შემდეგ კიევი დგას, უკრაინა დგას, დემოკრატია დგას! რას ნიშნავს ეს გზავნილი, რომ რუსეთი ამ ომში მარცხდება?***



– რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, ეს არის ფაქტის დაფიქსირება. ის ჩავიდა უკრაინის დედაქალაქში, რომელზეც იყო ბარბაროსული შეტევა. რა ფონზე იყო განხორციელებული, ისიც უნდა გავიხსენოთ. 24-ში დაიწყო ეს შეტევა და 22-ში რუსეთი მთელ პროპაგანდისტულ მანქანას ამუშავებდა, ყველა ერთ ხმაში საუბრობდა იმაზე, რომ ეს არის დასავლეთის სპეკულაციები, რუსეთი არანაირ ომს არ აპირებს და ამ ტყუილების კასკადის შემდეგ 24-ში გააჩაღეს ეს ბარბაროსული ომი. არაფერიც არ გამოუვიდათ. კიევი რომ დღეს დგას, ეს იმას ნიშნავს, უკრაინის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და თავისუფლებას აღარ ემუქრება უშუალო საფრთხე და ის აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში!

საერთოდ, ძალიან დიდი იშვიათობაა, რომ ამერიკის პრეზიდენტი ჩავიდეს ქვეყანაში, სადაც მიმდინარეობს ომი. იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ეს პრეზიდენტ ბაიდენის პირადი გაბედულებისა და სიმამაცის გამოხატულებაა. დარწმუნებული ვარ, ბევრი მის ადმინისტრაციაში ცდილობდა, რომ მას ეს ნაბიჯი არ გადაედგა და გადაეფიქრებინა მისთვის. მოხდა ის, რაც მოხდა და ეს არის მისი პირადი გამბედაობით მიღებული გადაწყვეტილება.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ომში ჩართვაზე ლაპარაკი სისულელეა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ერთ მხარეს არის ცივილიზებული დასავლეთი და მეორე მხარეს – რუსეთი. სამწუხაროდ, საქართველო თავისი პოლიტიკითა და რიტორიკით სწორედ რუსეთთან აღმოჩნდა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ცნობილი გახდა, რომ 24 თებერვალს უკრაინის რადამ საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ღონისძიებაზე მიიწვია, თუმცა ქართულმა მხარემ ვიზიტზე უარი განაცხადა. რით ხსნით ამ უარს?***

– საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება სულაც არ არის მოულოდნელი. პირიქით უფროა. მოსალოდნელიც იყო, რადგან ეს ჯდება „ქართული ოცნების“ იმ პოლიტიკაში, რომელიც მათ აქვთ არჩეული რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით. რეალურად ქართული მხარე პოლიტიკურად ემიჯნება მთელ ამ პროცესს. ერთ მხარეს არის ცივილიზებული დასავლეთი, რომელიც ბოროტების იმპერიას უპირისპირდება და მეორე მხარეს არის რუსეთი. სამწუხაროდ, საქართველო თავისი პოლიტიკით, თავისი რიტორიკით სწორედ რუსეთთან აღმოჩნდა. პრემიერის გამოსვლა მიუნხენის კონფერენციაზე სწორედ ამ გზავნილებით იყო გაჯერებული.

***– საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზარქუამ მიწვევაზე უარი ახსნა იმით, რომ უკრაინის ლიდერები ომში გვითრევენ და, შესაბამისად, დიპლომატიისთვის ადგილი არ რჩება.***

– ომში ჩართვაზე ლაპარაკი სისულელეა. როგორც აწყობთ, ისე ლაპარაკობენ. ლოგიკა და ფაქტები სხვა რამზე მეტყველებენ. ბაიდენის კიევში ვიზიტი არის დასტური იმისა, რომ ცივილიზებული სამყარო დგას კიევის გვერდით, ჩვენ კი ვიწრო რეგიონულ ინტერესებში ჩაფლულნი დავრჩით. საქართველო იცავს ნეიტრალიტეტს ამ ომთან დაკავშირებით, თუმცა ასეთ მიწვევაზე უარის თქმა, ასეთ მაღალ დონეზე, უკვე ნეიტრალიტეტიც კი აღარ არის. ეს უკვე გამიჯვნაა.

***– როგორ ფიქრობთ, „ქართულმა ოცნებამ“ ნეიტრალური დელეგაციის დაკომპლექტებასა და გაგზავნაზე მაინც რატომ თქვა უარი, ამით რა დაშავდებოდა?***

– დაშავდებოდა ის, რომ რუსეთის მიერ ეს აღქმული იქნებოდა, როგორც უკრაინის მხარეს დგომა, როგორც დასავლეთის გვერდით ყოფნა. ამიტომაც ამბობენ ყველანაირ დელეგაციაზე უარს. ასე მარტივად არ დგას საკითხი „ქართულ ოცნებაში“.

რაც შეეხება ომში ჩათრევას, ამაზე დიდი სისულელე რა უნდა იყოს, როდესაც არცერთი ლოგიკური არგუმენტი ამის სასარგებლოდ არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დასავლეთს არაფრით არ აწყობს საქართველოში არეულობა და ომი, რადგან ის მაგისტრალი, რომელმაც დასავლეთი ელექტრომატარებლებით უნდა მოამარაგოს, საქართველოზე გადის. შეიძლება, რუსეთს უფრო აწყობს ეს ომი, ვიდრე დასავლეთს, ეს წყარო რომ გადაუკეტოს. ამაზე ხომ უნდა დაფიქრდე. მაგრამ ეს არის პროპაგანდა და ფიქრობენ, რომ კარგადაც მუშაობს. დღეს დასავლეთი თავისი



ენერგოუსაფრთხოებისთვის ყველაფერს გააკეთებს, მეტიც, შიდაარეულობასა და შიდადაპირისპირებასაც კი არ დაუშვებს. ამიტომ ძალიან გაფაციცებით ადევნებენ ყველა დეტალს თვალ-ყურს.

***– ამერიკელი სენატორების ვიზიტს რით ხსნით?***

– პირველ რიგში, ეს ვიზიტი მიბმულია სწორედ ამ რეგიონის უსაფრთხოებასთან. მეორეც, როგორც ჩანს, ძალიან აინტერესებთ შიდაპოლიტიკური პროცესები.

2012 წელს 1 ოქტომბერს, როდესაც არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ჯინ შაჰინი იყო ერთ-ერთი მთავარი პირი, რომელმაც სააკაშვილი დაარწმუნა, რომ ძალაუფლების გადაცემა უნდა მომხდარიყო ყოველგვარი კრიზისის გარეშე.

***– სენატორმა შაჰინმა მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებზე გააკეთა განცხადება, როგორც მნიშვნელოვან არჩევნებზე. რა გზავნილი შეიძლება იყოს ეს?***

– არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ ამერიკა იყოს შუამავალი ძალაუფლების უსისხლოდ, სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე გადაცემისა. ალბათ დახურულ კარს მიღმა ამ ძალიან მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხებზე იქნება საუბარი. ამერიკულმა მხარემ იცის, ოპოზიცია რაც არის, ეს არის. უცებ სხვა ოპოზიცია ვერ გაჩნდება. ამიტომ მათთან კომუნიკაცია, მათი მოსმენა ამერიკას აინტერესებს.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჯინ შაჰინს ბიძინა ივანიშვილთან ირიბი ან პირდაპირი კომუნიკაციაც კი ჰქონოდა. შაჰინი არ არის რიგითი პოლიტიკოსი ამერიკაში. ის ევროპასთან ურთიერთობას განაგებს კონგრესში. მას აბარია ეს მიმართულება. ამიტომ გადაწყვიტა, რომ არა ელჩის გავლენით, არამედ უშუალოდ მიიღოს ყველა მხარისგან ინფორმაცია. ერთი სიტყვით, ადგილზე საკუთარი თვალითა და ყურით გაიგოს და ნახოს ყველა ინფორმაცია, ყველა დეტალი. ამიტომ, როგორც არ უნდა მონათლოს ხუნდაძემ არასამთავრობო სექტორი, აგენტებად თუ გავლენის აგენტებად, შაჰინს მათი პოზიცია, მათი აზრი აინტერესებს. ამ ვიზიტის უმთავრესი მიზანი პოლიტიკური განწყობების ადგილზე შესწავლაა.

# „რუსეთის სპეცსამსახურებმა ბაიდენის კიევში ვიზიტის შესახებ, სავარაუდოდ, არ იცოდნენ“

## ამირან სალუქვაძე: „რუსეთს დიდი საინფორმაციო რესურსი აქვს. ბაიდენის ვიზიტის შესახებ წინასწარ რომ სცოდნოდათ, წამყვანი არხები თავს სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაიგდებდნენ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

***– ბატონო ამირან, ყველასათვის მოულოდნელად ამერიკის პრეზიდენტი ბაიდენი კიევში ჩავიდა. ვიცოდით, რომ პოლონეთში იმყოფებოდა. რა გავლენა ექნება ბაიდენის კიევში ვიზიტს? ეს მხოლოდ მორალური გავლენაა თუ შეიძლება ამ ფაქტმა უფრო გარდამტეხი როლი ითამაშოს?***



– ბაიდენის კიევში ჩასვლა, პირველ რიგში, უკრაინის მორალური მხარდაჭერაა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური მხარდაჭერის მაჩვენებელიცაა. მსოფლიოს უჩვენებს, რომ როცა არსებულ ვითარებაში, საომარი მოქმედებების დროს, ამერიკის პრეზიდენტი უკრაინის დედაქალაქში ჩადის, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

ბაიდენის კიევში ჩასვლა პარტნიორებისთვის სიგნალიც არის, რომ უკრაინის მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს.

საომარ მოქმედებებში გარდატეხის შესატანად საჭიროა უკრაინისთვის მეტი იარაღის მიცემა. იგულისხმება ყველა სახის იარაღი – არტილერია, ჯავშანტექნიკა (ტანკები იქნება თუ სხვადასხვა ტიპის შეჯავშნილი მანქანები), რეაქტიული სისტემები არტილერიაში გადის, მაგრამ, ცალკე იმიტომ გამოვყოფ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთს ამ ტიპის ტექნიკის ძალიან დიდი რესურსი აქვს, მათ შორის – საბრძოლო მანქანების.

საარტილერიო ცეცხლს ბრძოლის ველზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უკრაინა ერთი წელია ავიაციის მიწოდებას ითხოვს. საკუთარი რაც გააჩნდა, ნელ-ნელა ილევა, საომარი მოქმედებების დროს ნადგურდება. უკრაინის არმიას უფრო მეტი თავდაცვის სისტემები და სარაკეტო შეიარაღება „ხმელეთი-ხმელეთი“ ტიპის სარაკეტო შეიარაღება ესაჭიროება. ამაზეც არის საუბარი, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს.

უკრაინას ასევე ესაჭიროება რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები და, რაც მთავარია, დიდი რაოდენობის საარტილერიო ჭურვები. ვგულისხმობ როგორც ჩვეულებრივ ჭურვებს, ასევე – რეაქტიულ რაკეტებს.

ყველა ინფორმაციით (რომელსაც ვკითხულობ, როგორც დასავლურს, ასევე რუსულს, უკრაინულს, ადგილობრივს), დღე-ღამის განმავლობაში რუსეთი 4-5-ჯერ მეტ ჭურვს იყენებს. როცა რუსეთი ისვრის, დავუშვათ, 100 ჭურვს, პასუხად 10-15-20-ს იღებს. ასე ომში გარდატეხის შეტანა შეუძლებელია.

უკრაინის პარტნიორი დასავლეთი ცდილობს, მაქსიმალურად გაზარდოს საბრძოლო მასალების, პირველ რიგში, ჭურვების წარმოება, მაგრამ ეს რესურსი ჯერჯერობით საკმარისი არ არის.

როგორც იკვეთება, არც ომამდე, არც ომის დასაწყისში, სწორი გათვლები, სწორი პროგნოზები ვერ გაკეთდა. როგორც ჩანს, რა რაოდენობის ჭურვები, რაკეტები და სხვა ტიპის საბრძოლო მასალები (თუნდაც ცეცხლსასროლი იარაღი) იქნებოდა საჭირო, ვერ გათვალეს. შეიარაღების გაზრდის ტემპები ვერ ეწევა ხარჯებს, რაც უკრაინაში ყოველდღიურად არის.

შეიძლება შეგნებულად, რუსეთის შეცდომაში შესაყვანად კეთდება – ზოგი დასავლელი თანამდებობის პირი ამბობს, რასაც ჩვენ ერთ თვეში ვაწარმოებთ, უკრაინა ერთ დღეში ხარჯავსო. ასეთი განცხადებები ხშირად მომისმენია. მსგავსი განცხადებები მიუნხენის კონფერენციაზეც გაკეთდა.

თუ ამერიკის პრეზიდენტი სადმე ჩადის, ცნობილია, მის უსაფრთხოებას რამდენად დიდი ყურადღება ექცევა. როცა ამერიკის პრეზიდენტი იმ ქვეყანაში ჩადის, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, ეს, რა თქმა უნდა, ყველასთვის სერიოზული გზავნილია, რუსეთისთვისაც და პარტნიორებისთვისაც, რომ მხარდაჭერა გაძლიერდეს.

***– რუსეთის დაზვერვამ ბაიდენის ვიზიტის შესახებ წინასწარ იცოდა თუ მათთვისაც მოულოდნელი იყო და, უბრალოდ, გამოეპარათ?***

– ჩემი აზრით, რუსეთმა და მისმა სპეცსამსახურებმა ბაიდენის კიევში ვიზიტის შესახებ არ იცოდნენ. რუსეთს ბაიდენის შესაძლო ვიზიტის შესახებ რომ სცოდნოდა, მაშინ მისი პროპაგანდისტული მანქანები შესაბამისად იმუშავებდნენ.

რუსეთს დიდი საინფორმაციო რესურსი აქვს. ბაიდენის ვიზიტის შესახებ წინასწარ რომ სცოდნოდათ, წამყვანი არხები სასაცილო მდგომარეობაში თავს არ ჩაიგდებდნენ. სკაბეევამ თქვა, რომ უკრაინის საინფორმაციო საშუალებები აჟიოტაჟს ტეხენ, თითქოს იქ მნიშვნელოვანი ვიღაც ჩადის და გზებია გადაკეტილი. ნეტა, ვის ელოდებიან? პუტინს ხომ არ ელოდებიან, ბაიდენი ვაშინგტონშიაო. ასეთი სასაცილო განცხადებები კეთდებოდა.

როცა ბაიდენის შორიდან გადაღებული კადრები გავრცელდა, იგივე სკაბეევა ამბობდა, აი, აჩვენებენ კადრებს, ვიღაც ჰგავს ბაიდენს, საკმაოდ ომახიანად დადისო, ანუ ბაიდენის კიევში ყოფნას ეჭვის ქვეშ აყენებდა.

სკაბეევამ ორი საათის განმავლობაში ამ თემაზე სამჯერ ისაუბრა. მესამედ მაშინ ისაუბრა, როდესაც ცხადი გახდა, რომ ბაიდენი კიევში ზელენსკის შეხვდა და უკვე ნირწამხდარნი იყვნენ.

ამიტომ, ვფიქრობ, რუსეთის სპეცსამსახურებს ბაიდენის კიევში ვიზიტის შესახებ რომ სცოდნოდათ, მაშინ მედიასაშუალებებს სხვა ინსტრუქცია ექნებოდათ, ბოლოს და ბოლოს, იტყოდნენ, რომ კიევში ბაიდენის ჩასვლა იგეგმებოდა ან არ არის გამორიცხულიო და ბაიდენის კიევში ჩასვლის ფაქტის გაუფასურებას შეეცდებოდნენ.

რუსეთის ინტერესებშია, რომ ბაიდენის კიევში ჩასვლას მსოფლიო საზოგადოებისა და რუსეთის საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ამიტომ შეეცდებოდნენ ამ ფაქტის გაუფასურებას.

ახლა გამოვიდა, რომ სტატუსი აუწიეს, რადგან ჯერ აცხადებდნენ, ვიღაც ჩადის, მაგრამ არ ვიცით, ვინ, ხელისუფლება ამ თემით აჟიტირებსო. ერთ საათში ამბობენ, ადამიანი, რომელსაც ბაიდენის მსგავსი კოსტიუმი აცვიაო... დაახლოებით ერთ საათში, როცა დარწმუნდნენ, რომ ბაიდენი კიევში იმყოფებოდა, ყველას მინიმუმ სახეზე და ტონალობაში უსიამოვნება ეტყობოდა. ამიტომ, ვფიქრობ, ეს ფაქტი გამოეპარათ.

ცხადია, ამერიკის სპეცსამსახურები ბაიდენის ვიზიტს საკმაოდ სკრუპულოზურად დაგეგმავდნენ და ინფორმაციის გაჟონვას ყოველმხრივ აღკვეთდნენ.

გამოვრიცხავ, რომ ასეთი რამ სადმე სხვაგან დაედგათ. სულაც არ არის საჭირო, კიევში იყოს.

ჩემი აზრით, რასაც ვაანალიზებ რუსეთის რეაქციებით, თუ რამდენად მოულოდნელი იყო მათთვის ბაიდენის კიევში ყოფნა, ვასკვნი, რომ მათ ამ ვიზიტის შესახებ არ იცოდნენ.

***– რუსეთის სპეცსამსახურებს რომ სცოდნოდათ, ამხელა ქვეყნის პრეზიდენტს ალბათ ვერაფერს გაუბედავდნენ.***

– რა თქმა უნდა, არა. კიევში ბევრი ლიდერი ჩასულა. სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებზე მიზანმიმართულად იერიშის მიტანა ამ ქვეყნებისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავს. მნიშვნელობა არა აქვს, ამ ქვეყნის ლიდერი სად იმყოფება. ლიდერის მიმართ აგრესია ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიას ნიშნავს.

***– ტრამპმა განაცხადა, ის რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერებას შეძლებდა. რის ფასად შეიძლებოდა, ტრამპს უკრაინაში ომი შეეჩერებინა ან რა შესაძლებლობები ექნებოდა?***

– აბსურდია. შეიძლება ეთქვა, რომ ომს არ დაუშვებდა.

***– მგონი, ეგეც თქვა.***

– ახლა ომის შეჩერების რამდენიმე ვარიანტია, მაგრამ, გააჩნია, როგორ. კიევი თანახმაა, რომ დასავლეთმა იარაღი არ მიაწოდოს? ბევრი აცხადებს, რომ უკრაინას იარაღი არ უნდა მიაწოდონ და ომი დამთავრდება. მერე რა? უკრაინას იარაღს თუ არ მიაწვდიან, რუსეთი გაჩერდება?

***– მინიმუმ იმ ტერიტორიებს მაინც დაიტოვებს, რომლებიც რუსეთს დაკავებული აქვს.***

– რუსეთი შეეცდება, დაიტოვოს, რაც ბრძოლით აქვს მოპოვებული. ამიტომ ეს მარტივი საკითხი არ არის. რუსეთსაც თავისი რეპუტაციული პრობლემები აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე – გარეთ. წარმოიდგინეთ, რუსეთს უკან გასვლა რომ მოუწიოს, ეს მას და პუტინს სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს მიაყენებს. ისინი ამას არ დათანხმდებიან.

ასე რომ არ მოხდეს, მსოფლიო საზოგადოებაში უნდა შექმნან აზრი, რომ რუსეთისთვის უკანდახევა რეპუტაციული არ იყო. ეს ძალიან რთულია, მაგრამ ომის შეჩერების ყველაზე ლოგიკურ და რეალურ ვარიანტად ეს მიმაჩნია. ვთქვათ, ეს გაკეთდა, რუსეთიც ხომ მოითხოვს გაცვლის სანაცვლოდ რაღაცას. დასავლეთი ამისთვის მზად არის?

# „ვაშინგტონი სააკაშვილის საკითხს სხვანაირად უყურებს“

## მირიან მირიანაშვილი: „მათთვის, ვინც საქართველოს აკნინებს, სააკაშვილს კი ბერკეტად იყენებს, ლაგმის ამოდება ამერიკას შეუძლია“

მარიამ მჭედლიშვილი

**აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.**



***— ამერიკელი სენატორები ჯინ შაჰინი და დიკ დურბინი შავი ზღვის რეგიონის ტურნეს (რუმინეთი, საქართველო) ფარგლებში იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ჯინ შაჰინის განცხადებით, აშშ-მ უნდა ჩამოაყალიბოს უფრო მტკიცე პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. მისივე თქმით, რუსეთი მოქმედებს რეგიონში თავისი მავნე გავლენის გასავრცელებლად. რაზე მეტყველებს ეს ვიზიტი? აშშ-ის მზარდ ინტერესზე საქართველოსადმი?***

— ცხადია. აშშ-ის ინტერესი საქართველოს მიმართ ყოველთვის დიდი იყო. ამას ეწინააღმდეგებოდა რუსეთი. კრემლი მუდმივად ცდილობდა ამ ინტერესის გაფერმკრთალებასა და დამახინჯებას. რუსული პროპაგანდა ავრცელებდა მოსაზრებას, რომ ამერიკის მთავარი მიზანია საქართველოს წარმოჩენა რუსეთის მსხვერპლად.

***— ეს ხომ ისედაც ფაქტია?***

— საქმეც ეგაა, რომ საქართველო რეალურად არის რუსეთის მსხვერპლი, მაგრამ რუსული პროპაგანდა ამას მალავს და ამერიკელების მონაგონად ასაღებს. არადა, რუსეთმა იმდენი ნეგატივი დააგროვა, იმდენი საშინელება ჩაიდინა, რომ ამას ვერანაირი პროპაგანდა ვერ გადაფარავს. რუსეთს ცოდვები ქვეყნის შიგნითაც დაუგროვდა. განსაკუთრებული დანაშაულები კი მან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩაიდინა, მათ შორის საქართველოში. ამ სიტუაციაში რუსეთს ვინმეს, მათ შორის ამერიკელების მხრიდან დამატებითი დემონიზაცია არ სჭირდება. რუსეთის ბოროტმოქმედებები თვალსაჩინოა. საზოგადოებას ის აინტერესებს, თუ რა გეგმები აქვს აშშ-ს საქართველოში დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, რა სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგი დადგება ფინალში.

***— მაგალითად, შევა თუ არა საქართველო ნატოში?***

— რასაკვირველია, შევა თუ არა საქართველო ნატოში, გაფორმდება თუ არა აშშ-სთან სამოკავშირეო ხელშეკრულება. საქართველოს გაზრდილი როლი რეგიონში თავისთავად მოიტანს პოზიტივს. ეს იქნება დიდი ინვესტიციები, დაცული უსაფრთხოება და ა.შ. ამერიკელი სენატორების ვიზიტი ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა სწორედ იმ მიზნების გასარკვევად, რომლებზეც გესაუბრებით. არ ვიცი, მოახერხა თუ არა მან ეს. ამაში დარწმუნებული არა ვარ.

***— ამ ვიზიტს წინ უძღოდა კანონპროექტის დარეგისტრირება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. ის აღიქმება ანტიდასავლურად და ანტიდემოკრატიულად. თქვენი აზრით, გაბედავს თუ არა პარლამენტის უმრავლესობა მის მიღებას?***

— ნუ ვიქნებით მიამიტები. საქართველოს პარლამენტში რაც რეგისტრირდება, იმას უმრავლესობა, როგორც წესი, მხარს უჭერს. ამ კანონპროექტის ბედი დამოკიდებულია საერთაშორისო რეაქციაზე.

***— ხომ იყო უკვე რეაქცია? ეს გამოხმაურება საკმაოდ ნეგატიურია.***

— ჯერჯერობით იყო ზედაპირული რეაქცია. ითქვა, რომ ეს არ არის ამერიკული კანონის ანალოგი. კანონპროექტის ექსპერტიზა, ანუ საფუძვლიანი საერთაშორისო გამოხმაურება მოგვიანებით იქნება.

***— გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჯო ბაიდენმა დაასახელა საქართველოში აშშ-ის მომავალი ელჩის ვინაობა. დამტკიცების შემთხვევაში ეს იქნება რობინ დანიგანი (ამჟამად ის არის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე), რომელიც კელი დეგნანს შეცვლის. ხომ არ გაქვთ ამაზე დამატებითი ინფორმაცია?***

— ეს გვარი ბაიდენის აპარატის უფროსმა გაახმოვანა. საკითხი მკაფიო კონტურებს შეიძენს, როცა აშშ-ის პრეზიდენტი მას ოფიციალურად წარუდგენს სენატს. როცა ასეთი ინფორმაცია წინასწარ ხმიანდება, ამით ატყობინებენ გეგმებს შესაბამის სახელმწიფოს.

***— ესე იგი საქართველოს აუწყეს მომავალი ელჩის ვინაობა?***

— დიახ. ამაზე რეაქცია არ ყოფილა. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ არ იცის რეაქციის ვადები. მას ვერ გაურკვევია, როდის რას უნდა გამოეხმაუროს. როცა რომელიმე ელჩის კანდიდატურა სენატში განიხილება და მაშინ არის ნეგატიური რეაქცია, ეს მძაფრად აღიქმება ხოლმე.

***— რეაქცია რუსეთში გაისმა. კრემლის მიმდევრები უკვე ბდღვინავენ და შიშობენ, რომ რობინ დანიგანი გააფართოებს ამერიკის გავლენას საქართველოში, ხელს შეუწყობს რუსული კონტინგენტის გაყვანას ყარაბაღიდან და აღადგენს საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს (მას უკრაინის გარკვეულ წრეებთან პირდაპირი და მჭიდრო კავშირები აქვს). საქართველოშიც უნდა ველოდოთ მსგავს რიტორიკას?***

— რუსების რეაქცია გასაგებია. ახლახან, როცა რობინ დანიგანი ავსტრიაში ელჩის მოვალეობის შემსრულებელი იყო, მან იქ ბევრი გააკეთა რუსული სადაზვერვო საქმიანობის შესამცირებლად. რუსები ფიქრობენ, რომ ის საქართველოშიც იბრძოლებს რუსული გავლენის შესასუსტებლად. უკრაინასა და საქართველოს ურთიერთობები დასალაგებელია, მაგრამ ეს მხოლოდ ელჩზე არ არის დამოკიდებული. ამ ურთიერთობების დალაგებას მხოლოდ ელჩის შესაძლებლობები არ ჰყოფნის. რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისი გავლენის შენარჩუნება საქართველოში და ამისათვის კრემლი ყველა ღონეს ხმარობს. ჩემი აზრით, რობინ დანიგანის მიმართაც იქნება საქართველოში ისტერია, როგორიც კელი დეგნანის მიმართ იყო.



***— ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუცია საქართველოზე მთლიანად სააკაშვილს მიეძღვნა. ვაშინგტონი ამ საკითხზე კვლავინდებურად თავშეკავებულია. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დასავლეთს სააკაშვილის მიმართ ორგვარი პოზიცია ჩამოუყალიბდა?***

— არა. დასავლეთის პოზიცია ორგვარი არ არის. ადრეც მითქვამს, რომ დასავლეთს (პირველ რიგში, აშშ-ს) სააკაშვილის თემაზე ტაბუ აქვს დადებული. ადამიანის ჯანმრთელობა და უფლებები ერთი თემაა, მისი პოლიტიკური მხარდაჭერა — სხვა. ვაშინგტონში შესანიშნავად იციან, რას წარმოადგენს სააკაშვილი, რა აკავშირებს მას რუსეთის სპეცსამსახურებთან, რა საქმიანობას ეწეოდა, როგორ ექცეოდა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს. ვაშინგტონში არავინ განიხილავს სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს საქართველოში. ამერიკელებს სააკაშვილი არც უკრაინაში სჭირდებათ. ამის დასტურია სენატორების ვიზიტი. მათ სააკაშვილზე სიტყვაც არ უთქვამთ. ვინც სააკაშვილზე ბევრს ხმაურობს და ევროპარლამენტში მის შესახებ რეზოლუციებიც გააქვს, იმასაც თავისი მიზნები აქვს. ამ ხალხს სააკაშვილის ჯანმრთელობა და მომავალი არ აწუხებს და არც უკრაინაში მისი საქმიანობა უნდა.

***— დააკონკრეტეთ.***

— საუბარია აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ პოლიტიკოსზე, პირველ რიგში, პოლიტიკურ ლიდერებზე პოლონეთიდან და უკრაინიდან.

***— ზელენსკის მოწოდება სააკაშვილის თაობაზე მსოფლიომ მოისმინა.***

— ზელენსკიც და პოლონეთის წარმომადგენლებიც სააკაშვილის საკითხს იყენებენ საქართველოზე ზეწოლისთვის. სააკაშვილის საკითხი მათთვის არის ბერკეტი საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად, გავლენის გასაფართოებლად, რუსეთთან საბრძოლველად. არის მცდელობა, რომ ამაში ჩაითრიონ აშშ.

ვაშინგტონი სააკაშვილის საკითხს სხვანაირად უყურებს. პოლონელები და უკრაინელები ცდილობენ, რომ დააინტერესონ აშშ. მათ უნდათ, ისე წარმოაჩინონ საქმე, თითქოს თბილისსა და კიევს შორის არსებული პრობლემები საქართველოს ანტიდასავლურობის შედეგია. მიუნხენის კონფერენციის მიმდინარეობისასაც იყო გარკვეული მცდელობა: მოეწყო ცალკე პანელი გერმანიის, საფრანგეთისა და უკრაინის საგარეო მინისტრების მონაწილეობით. კულებას იქაც უნდოდა სააკაშვილის საკითხის წამოწევა. როგორც გითხარით, უკრაინასა და პოლონეთს თავიანთი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ. ერთ-ერთი მიზანია შავი ზღვიდან რუსეთის განდევნა და ამ რეგიონში პოლონეთისა და უკრაინის გავლენის დამყარება. მათთვის საქართველო სუსტი რგოლია, რომელსაც ადვილად მოერევიან.

საქართველოში რუსული გავლენის დამარცხება უკრაინისთვის საამაყო იქნებოდა. ამ გეგმებისთვის გამოიყენება სააკაშვილის თემა. სხვათა შორის, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს (ეს ქვეყნებიც წამოსწევენ ხოლმე სააკაშვილის თემას) იმის სურვილი აქვთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც პოლონეთში ჩადის, მათ ლიდერებსაც შეხვდეს.

***— გამოდის, საქართველოს განსაცდელი ელის ბევრი მხრიდან?***

— გამოსავალი არსებობს. იმათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ასუსტებს და აკნინებს, სააკაშვილს კი ბერკეტად იყენებს, საშუალება არის. ასეთებისთვის ლაგმის ამოდება შეუძლია აშშ-ს. საქართველოს ხელისუფლებამ ეს უნდა გააცნობიეროს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს“

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ფასნამატი 70, 80, ზოგ შემთხვევებში კი 100%-ით არის გაზრდილი და ეს არის მიუღებელი.

— საკითხი ეხება ჩემ მიერ ორი კვირის წინ გაცემულ დავალებას, რომელიც შეეხებოდა სურსათისა და საწვავის ფასებს. ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ აქტიურად ჩართული. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა მთლიანადაა ჩართული ამ პროცესში. ძალიან ბევრი შეხვედრა გაიმართა როგორც იმპორტიორებთან, ისე დიდ ქსელებთან, რითეილის მფლობელებთან. მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა ჩვენს ხალხს და საზოგადოებას, — სურათი, რომელიც გამოიკვეთა არის შემდეგი, რომ ის ინფორმაცია, რაც მე გავაჟღერე, ანუ ჯამურად, საერთო შეწონილი, გამოდის ისე, რომ ფასნამატი არის 70, 80, ზოგ შემთხვევებში 100%-ით გაზრდილი და, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, თუ როგორ დარეგულირდეს ეს საკითხი.

ჩვენ მოვისმინეთ ასევე იმპორტიორების განმარტებები, რომ აქედან, 70-80-%-დან, მათი მოგება არ არის, არამედ, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია რითეილის, ანუ ამ დიდი ქსელების ერთგვარ წესებზე, რომლებიც არის მათ მიერ განსაზღვრული და სწორედ ამ წესებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სერიოზული, ლეგიტიმური კითხვები. ეს წესები არ არის აპრობირებული, ევროპაში ასეთი წესები არ მოქმედებს, ეს საკითხი არის დარეგულირებული ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებში, ზოგადად, მთელ დასავლურ სამყაროში, — განაცხადა პრემიერმა.



ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისივე დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. პრემიერის თქმით, იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე „რითეილს“ ექნება თავისი განსაზღვრული წესები.

— ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება. ინფლაციაზე როცა ვსაუბრობთ, ინფლაციის გასული თვის მაჩვენებელი იყო 9,4%. აქედან 6,1% არის სურსათის ფასები. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც კი დარეგულირდება ეს საკითხები, და ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, ინფლაციაც ჩამოვა იმ ნიშნულზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული, 5% დაახლოებით, ამ წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს სიკეთე აისახება ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის ჯიბესა და მათ შემოსავლებზე, — განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, წინასწარი ინფორმაციით, საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა იქნება იანვარში.

— ბოლო ინფორმაცია, რაც გამოქვეყნდა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, უმუშევრობის დონე არის ისტორიულ მინიმუმზე. შემცირდა უმუშევრობა, ასევე სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე. თქვენ ნახეთ, გაეცანით ბოლო მონაცემებს, რომ ვაჭრობა არის გაზრდილი, ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა, ეკონომიკის ზრდა, ველოდებით იანვრის მონაცემებს, წინასწარი ინფორმაციით, რომელიც მაქვს ფინანსთა სამინისტროდან, თუმცა, რა თქმა უნდა, საბოლოო ინფორმაციას უნდა დაველოდოთ სტატისტიკის სამსახურიდან, საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა იქნება იანვარში. ზოგადად, დინამიკა, რაც იკვეთება, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, რომ წელსაც გვქონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა, დასაქმება, მეტი სამუშაო ადგილები. ასევე გეტყვით, რომ უმუშევართა რაოდენობაც არის შემცირებული როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. ქალაქად და სოფლად — ყველგან არის შემცირებული უმუშევრობა. ეს არის ისტორიული მინიმუმი, როგორც უმუშევრობა, ისე სიღარიბე, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რთული ვითარებაა მსოფლიოში, გამოსავალი არ ჩანს და არ იციან, როდის დასრულდება უკრაინაში ომი.

— კიდევ ერთხელ მინდა, ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პოლიტიკას. ყველაფერი უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ჩვენ რომ სხვა ნაბიჯები გადაგვედგა, კარგად გვესმის, რომ საერთოდ არავითარ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საუბარი არ იქნებოდა. ვიმყოფებოდი მიუნხენში, მოგეხსენებათ. ნახეთ, რომ ძალიან რთული ვითარებაა, გამოსავალი არ ჩანს, არ იციან, როდის დასრულდება უკრაინაში ომი. საერთოდ, გამოსავალი არ ჩანს ამ სიტუაციაში. ასე რომ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა და იმ ინტერესების გატარება, რომლებიც მხოლოდ ჩვენს ხალხს და ქვეყანას სჭირდება. ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება, 49%-ზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, თუმცა ინვესტორის შემოსვლას არ დაელოდება მთავრობა და სამუშაოები წელსვე დაიწყება.

# ადვოკატი: „ბრალდების მხარემ მოითხოვა, ბადრი ესებუასგან ხმის ნიმუში აიღონ. ეჭვი ბრალდებასაც გაუჩნდა“

„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებულ ბადრი ესებუას ადვოკატ იოსებ ჯანაშიას განცხადებით, ესებუასთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნა დროსა და ვითარებაშია აცდენილი.

ამასთან, როგორც ადვოკატი განმარტავს, ესებუას მხრიდან დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის, რაც, ჯანაშიას თქმითვე, პროკურატურის მიერ დაყენებულმა შუამდგომლობებმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

– ჩვენი პოზიცია ასეთია, აქამდე საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ უტყუარად დადგენილიყო, რომ დანაშაული ბადრი ესებუას მიერ არის ჩადენილი. დღეს, ბრალდების მხარის მიერ დაყენებულმა შუამდგომლობებმა ეს ეჭვი კიდევ უფრო გაამყარა, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ ბრალდების მხარეს შეეპარა ეჭვი მის მიერ ადრე ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით, საუბარია ფონოსკოპიურ ექსპერტიზაზე. დღეს ბრალდების მხარემ მოითხოვა, რომ ბადრი ესებუასგან ხმის ნიმუში აიღონ, რომელიც შეფარდება ბანკში მძარცველის/ტერორისტის ხმასთან. არათუ ჩვენ, ბრალდების მხარესაც გაუჩნდა ეჭვი ამასთან დაკავშირებით.

მეორე შუამდგომლობა ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ეხებოდა. „საქართველოს ბანკიდან“ ამოღებულია გორგოლაჭიანი სკამი, ასევე, სუნის ნიმუშია ამოღებული ავტომანქანიდან, რომლითაც მძარცველი გადაადგილდებოდა. ბრალდების მხარეს, 2 წლისა და 6 თვის შემდეგ უნდა, ოდოროლოგიური ექსპერტიზა ჩაატაროს, რადგან ჰგონია, რომ სუნის ნიმუშები იდენტური იქნება.




რაც შეეხება ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შუამდგომლობას, ესეც, მიმაჩნია, რომ დროსა და ვითარებაში აცდენილია, რადგან, ასეთი ექსპერტიზა რომ ჩანიშნო, საფუძველი უნდა გქონდეს. კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად დაცვის მხარემ სასამართლოზე დრო მოვითხოვეთ, რათა კონსულტაცია გავიაროთ ბადრი ესებუასთან, – განაცხადა ჯანაშიამ.

მისივე განმარტებით, საქმეში ახალი ადვოკატის – ალექსანდრე კობაიძის გამოჩენა მისთვის სიურპრიზი იყო, ვინაიდან, კობაიძე ოჯახს არ დაუქირავებია და არც ესებუას მიუმართავს კობაიძის არასამთავრობო ორგანიზაციისათვის.

იოსებ ჯანაშია აღნიშნულთან დაკავშირებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან კონსულტაციას გაივლის.

ცნობისთვის, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში შეიარაღებული ბადრი ესებუა 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნითა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები აღიკვეთა



საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „ქუთაისის აეროპორტსა“ და „სარფში“ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები აღიკვეთა. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების როგორც კუთვნილი ბარგის, ასევე ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები (209 აბი და 10 ამპულა) და ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი (0,49 გრამი) გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

## მადრიდში ქართული კრიმინალური დაჯგუფების 25 წევრი დააკავეს




ესპანური მედიის ინფორმაციით, მადრიდში პოლიციამ ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფების 25 წევრი დააკავა. მედიის ცნობით, გამოძიება საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ჩატარდა. დაკავებულებს ბრალად ედებათ, სულ მცირე, 14 სახლის ძარცვა. როგორც მედია წერს, ორგანიზაციას „კანონიერი ქურდები“ ხელმძღვანელობდნენ.

ესპანური მედიის ცნობით, სპეცოპერაციის ფარგლებში 7 სახლის ჩხრეკა ჩატარდა, საიდანაც ძვირადღირებული სამკაულები, ძვირფასი ქვები, მობილური ტელეფონები, ელექტრონული პლანშეტები, ლეპტოპები, ძვირადღირებული ტანსაცმელი, აქსესუარები და სხვა ნივთები ამოიღეს.

## პროკურატურა ბადრი ესებუასთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს

პროკურატურა „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბადრი ესებუასთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს. აღნიშნული შუამდგომლობა პროკურორმა მირანდა წერეთელმა სასამართლო პროცესზე დააყენა.

ამასთან, 20 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ ახალი მტკიცებულების დასაშვებობაზე, ახალი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებითაც იშუამდგომლა. კერძოდ, პროკურორ მირანდა წერეთლის განცხადებით, ვინაიდან ბადრი ესებუა ძებნაში იმყოფებოდა, მისგან ხმისა და სუნის ნიმუშების აღება ვერ განხორციელდა, რის გამოც, ოდოროლოგიური ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა. ადვოკატმა იოსებ ჯანაშიამ შუამდგომლობაზე პასუხის გასაცემად დრო ითხოვა, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფთან აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიაროს.

მოსამართლე ეკატერინე ბებიას განცხადებით, ის დაცვის მხარეს არ შეზღუდავდა, რის გამოც სხდომა გადადო.

სხდომაზე ბრალდებულმა ბადრი ესებუამ მხოლოდ ის განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ცნობისთვის, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში შეიარაღებული ბადრი ესებუა 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარს და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნითა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ავარია ცენტრალურ მაგისტრალზე. არის მსხვერპლი

ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, ქარელი-რუისის მონაკვეთზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. ქუთაისის წყალმომარაგების კომპანიის მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა.

შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაიღუპა, ორი კი დაშავდა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.




# კალეიდოსკოპი

## რამდენჯერმე სახელშეცვლილმა მამაკაცმა რომანი 250 ქალთან გააბა



კანადის ქალაქ ტორონტოს მკვიდრმა მამაკაცმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და 250 ქალს მათთან რომანის გასაბმელად და თაღლითური გზით ფულის გამოსაძალად დაუახლოვდა.

იონ მალდერი სასამართლოს წინაშე სახელის მრავალჯერ შეცვლისა და 100 ქალთან რომანის გაბმის ბრალდებით წარდგა, რომელთა უმრავლესობა მარტოხელა დედა იყო. კიდევ 150-თან ნაცნობობა მათი მოტყუების მიზნით გააბა. ამ ყველაფერს მამაკაცი სხვადასხვა სახელის გამოყენებით აკეთებდა. მათ რიცხვში იყო ჯონი მაიერსი, ჯომ მეიერსი, ჯონ ბოლდერი და იონ მალდერსი. მამაკაცს ადამიანის უკანონოდ დაკავების, ბოროტმოქმედებისა და ვუაიერიზმის ბრალდება წაუყენეს. იოან მალდერის მსხვერპლი ქალებისთვის მისი ნამდვილი ვინაობა ცნობილი არ ყოფილა მანამდე, სანამ ის მათ სასამართლოში არ შეიტყვეს. მალდერის ქმედების შედეგად დაზარალებულმა ნაომი ვოლფმა განაცხადა, რომ მამაკაცი სოციალურ ქსელში მაშინ გაიცნო, როდესაც 10 ათას კანადურ დოლარად მოტოციკლს ყიდულობდა. მან ის ქარიზმატულ და მიმზიდველ პიროვნებად აღწერა. წყვილი ერთმანეთს დაახლოებით რვა თვის განმავლობაში ხვდებოდა, შემდეგ კი მას მეგობარმა ინტერნეტჯგუფში გამოუგზავნა შეტყობინება: „ჩვენ ყველანი ერთსა და იმავე მამაკაცს ვხვდებით“.

აღმოჩნდა, რომ იმავე მამაკაცს კიდევ 100 ქალი ხვდებოდა, ხოლო მოტოციკლი, რომელიც ქალმა შეიძინა, სინამდვილეში ჯგუფის სხვა წევრს ეკუთვნოდა. ენჯი მედილი მალდერს ინტერნეტში გაცნობის დანართში ხვდებოდა, თუმცა პირისპირ არასდროს შეხვედრია. ამის მიუხედავად, მამაკაცმა მისი მოტოციკლი ისე გაყიდა, რომ ქალს ფული არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ კანადელი 2013 წელს უკვე იჯდა ციხეში თაღლითობისთვის და იქ მან 683 დღე გაატარა. მაშინ სასამართლომ მისგან კომპენსაციის სახით 7,3 ათასი კანადური დოლარის გადახდა მოითხოვა, თუმცა მალდერმა მხოლოდ 1000 დოლარი გადაიხადა.

## მამაკაცმა ორი ათასი კვერცხი შეჭამა და წონაში 32 კილოგრამი დაიკლო



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ედინბურგის მკვიდრი 34 წლის როს მაკფარლეინი ორი წლის განმავლობაში კვერცხებს ჭამდა და წონაში 32 კილოგრამი დაიკლო.

მამაკაცი, რომელიც 119 კილოგრამს იწონიდა, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა წონაში დაკლებას და ამისთვის სხვადასხვა დიეტას მიმართავდა, თუმცა – წარუმატებლად, სასურველ შედეგს ვერაფრით აღწევდა.

– ჩემი დამოკიდებულება კვების მიმართ ისეთივე იყო, როგორიც უამრავ ადამიანს აქვს. მკაცრ დიეტაზე ვჯდებოდი, თუმცა შემდეგ წონაში კვლავ ვიმატებდი. რაც არ უნდა გამეკეთებინა, მაინც მსუქანი ვრჩებოდი, – ყვება ბრიტანელი.

ზედმეტი წონიდან გამომდინარე, მაკფარლეინს სისხლის მაღალი წნევა და ქოლესტერინის მაღალი დონე ჰქონდა. პრობლემებისგან თავის დასაღწევად მან გადაწყვიტა, უარი ეთქვა მავნე კვებაზე და თავის რაციონში უფრო მეტი რაოდენობით კვერცხი შეეტანა. დილით მას შეეძლო, ექვსი ცალი კვერცხი შეეჭამა, ხოლო საერთო ჯამში ორი წლის განმავლობაში მის მიერ შეჭმული კვერცხის რაოდენობამ ორი ათასს მიაღწია. გარდა ამისა, მან ასევე უარი თქვა ნახევარფაბრიკატებსა და მზა კერძებზე. ის ვახშამზე შეექცეოდა სალათს ქათმის ხორცით, ხოლო სადილად – სტეიკს ბოსტნეულით.

ამჟამად მაკფარლეინი 87 კილოგრამს იწონის, ხოლო მისი სისხლის წნევა და ქოლესტერინის დონე ნორმაში ჩაჯდა. ასევე მშვიდად სძინავს და თავდაჯერებულობა შეემატა.

## მამაკაცმა ქალს სექსის შემდეგ სექსსათამაშოების კოლექცია მოჰპარა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა ქალმა ისაუბრა იმის შესახებ, სოციალურ ქსელში გაცნობილმა მამაკაცმა მასთან ღამის გატარების შემდეგ როგორ მოჰპარა სექსსათამაშოების კოლექცია და ამის გამო ქვეყნის დატოვებაც მოუხდა.

26 წლის ქალმა ტინდერში გაიცნო იტალიელი მამაკაცი. წყვილი საღამოს მის სახლში შეხვედრაზე შეთანხმდა. სანამ საქმეს შეუდგებოდნენ, სექსის მოყვარულმა ქალმა მამაკაცს თავის მოსაწონებლად თავისი სექსსათამაშოების კოლექცია დაათვალიერებინა, რომელთა საერთო ღირებულება 500 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. მამაკაცმა კი მას უთხრა, რომ იგი ანალოგიური საქონლის გაყიდვებით იყო დაკავებული, რაც ქალმა პროგრესულ და საინტერესო ფაქტად მიიჩნია.

წყვილმა ღამე ერთად გაატარა, რის შემდეგაც ერთად დაიძინეს. ქალს დილის შვიდ საათზე გაეღვიძა და აღმოაჩინა, რომ მამაკაცი მისი სექსსათამაშოების კოლექციასთან ერთად გაუჩინარებულიყო. ამავე დროს, მისი ძვირადღირებული კომპიუტერი, პლანშეტი და სხვა ტექნიკა ხელუხლებელი დარჩა.

ქალმა ქურდობის თაობაზე პოლიციაში განცხადება ორი დღის შემდეგ შეიტანა. პოლიციელებმა მას ორი თვის შემდეგ გადმოურეკეს და ქალი მიხვდა, რომ მათ მისი პრობლემა არ ადარდებდათ.

– ჩემს პრობლემას სერიოზულად არავინ აღიქვამდა, – ხაზგასმით აღნიშნა ბრიტანელმა.

ქალი ფიქრობს, რომ დამნაშავე შესაძლოა ანალოგიურად მოექცეს სხვა ქალებსაც.

– ბევრი არ განაცხადებს ასეთი შემთხვევის თაობაზე, დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე. მაცოფებს ის ფაქტი, რომ სერიოზულად არავინ მეკიდება. მომხდარის შემდეგ იძულებული გავხდი, შოტლანდია დამეტოვებინა, რათა სახლში ოჯახთან ვყოფილიყავი. გაოგნებული ვიყავი და თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი იმის გამო, რომ მან ჩემი მისამართი იცის, – განმარტა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი რუსეთს ბრალს სდებს



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ვლადიმერ პუტინის მუქარა, კიევს სამ დღეში ავიღებთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა. მალე ომის დაწყებიდან ერთი წელი შესრულდება. გაჭიანურებული ომი უკვე მთელი მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს და ამიტომ მიუნჰენის კონფერენცია „უსაფრთხოებისათვის ევროპაში" მთლიანად რუსეთ– უკრაინის ომს მიეძღვნა. მასზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჰამალა ჰარისი.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა შექმნილი სიტუაციის მოკლე მიმოხილვა გააკეთა. მან ხაზი გაუსვა, რომ ვლადიმერ პუტინი სუვერენულ უკრაინაში შეიჭრა, ქვეყანაში, რომლის დამოუკიდებლობაც აღიარა მთელმა მსოფლიომ, მათ შორის რუსეთმაც. ამით პუტინმა არსებული საერთაშორისო წესრიგი დაარღვია და შექმნა პრეცედენტი იმისა, რომ ძალადობით ხდება პოლიტიკური მიზნებისაკენ სწრაფვა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი შეჩერდა უკრაინაში განვითარებულ პროცესებზე. მან ვრცლად მიმოიხილა ბუჩის, იზიუმის, მარიუპოლის, ლისიჩანსკის ტრაგედიები. ჰარისმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა რუსი ჯარისკაცების მხეცობას და თქვა, რომ ისინი არ ინდობენ არც მოხუცებს, არც ქალებს, არც ბავშვებს.

– იმას, რასაც რუსი ოკუპანტები ჩადიოდნენ, თამამად შეიძლება ვუწოდოთ დანაშაული კაცობრიობის წინაშე, – თქვა ჰარისმა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი იარაღისა და საბრძოლო მასალების დეფიციტს განიცდის, ამიტომ სთხოვა ჩინეთს, რომ ლეტალური იარაღი მიაწოდოს.

აშშ-ის მაღალჩინოსანი ასეთი მკვეთრი და კატეგორიული კარგა ხანია არ ყოფილა. ამერიკელი პოლიტიკური კომენტატორებიც პარალელს ავლებენ ჰარისის სიტყვებსა და რეიგანის ცნობილ გამოსვლას შორის. მაშინ აშშ-ის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა. ჰარისის გამოსვლამაც კონფერენციის მონაწილეებზე შთაბეჭდილება მოახდინა. ჩინეთის კომპარტიის საგარეო საქმეთა ყოფილმა ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ ძალადობა მიუღებელია და ყველა სადავო საკითხი მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდეს. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინული კრიზისიც მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს.

ქამალა ჰარისის გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მიუნჰენის კონფერენციის წევრებმა განაცხადეს, რომ რუსეთთან მოლაპარაკება არ შეიძლება მანამ, სანამ აგრესია არ შეწყდება. უკვე კონფერენციის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმა სუნაკმა შემდეგი განცხადება გააკეთა: დიდი ბრიტანეთი უკრაინას შორსმსროლელ რაკეტებს მიაწვდის!

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა რუსეთი უკრაინაზე ტოტალურ შეტევას გეგმავს. აშშ-ის პრინციპული პოზიცია ანტიპუტინურ კოალიციას განამტკიცებს, ეს კი მოვლენების შემდგომ განვითარებაზე უდიდეს გავლენას იქონიებს.

## ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინელებს ურჩევს, რომ კონტრშეტევისათვის სამზადისი დღესვე დაიწყონ



ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ურჩევს, რომ კონტრშეტევისათვის მზადება დღესვე დაიწყოს. სპეციალურ მიმართვაში ნათქვამია, რომ უკრაინისაკენ უკვე თავისუფლად მიედინება იარაღი და დროის დაკარგვა არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ რუსეთი ახალი მასირებული შეტევისათვის ემზადება. მართალია, კონტრშეტევას გულმოდგინე მომზადება სჭირდება, მაგრამ აუცილებელია, რომ უკრაინამ სათანადო სამზადისი ახლავე დაიწყოს.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია შიშობს, რომ შესაძლოა ევროპა უკრაინისადმი დახმარების შეზღუდვას შეეცადოს. აშშ-ის ხელმძღვანელობა პირობას იძლევა, რომ ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ევროპელები უკრაინას სრულფასოვნად დაეხმარონ.

## ბლინკემა ჩინეთის ხელმძღვანელობა გააფრთხილა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა ოფიციალურად განიხილავს რუსეთისათვის ლეტალური იარაღის გადაცემის შესაძლებლობას.

– მსურს, ჩინეთის სახელმწიფოს მეთაური გავაფრთხილო, რომ მსგავსი ნაბიჯის გადადგმა მისთვის და მისი ქვეყნისათვის საბედისწეროდ დამთავრდება! – თქვა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს მხარი დაუჭირა აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ლინდა გრინფილდმაც.

## იტალიის პრემიერი კიევს ეწვევა



იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯე მელონი კიევს ეწვევა. ის შეხვდება პრეზიდენტ ზელენსკის. მოლაპარაკების ძირითადი თემა იქნება უკრაინისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა.

იტალიური მედიის ცნობით, მელონი უკრაინელებს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა SAMP-T-ს გადასცემს.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



უკრაინის სამხრეთში ბრძოლები კვლავაც პოზიციურ ხასიათს ატარებს. ზაპოროჟიეს ოლქში რუსებმა შეტევაზე გადასვლა კვლავ ცადეს. ეს ჩაიშალა. ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და ძველ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. პასუხად რუსებმა დაბომბეს ქალაქები ზაპოროჟიე, ხერსონი, ნიკოპოლი, ნიკოლაევი და ა.შ.

რუსების მზარდმა აქტიურობამ მათ ბევრი ვერაფერი მისცა. სამაგიეროდ, ოკუპანტების რიგებში მსხვერპლი გაიზარდა. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.310; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.545; არტილერია – 6.545; თვითმფრინავები – 298;

განადგურებულია 142.680 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## რუსთაველის საზოგადოება სოკოებივით მომრავლებულ საახლობლო ჯილდოებს აპროტესტებს

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ქვეყანაში ფსევდოხელოვანთა, ცრუმეცნიერთა, ცრუაკადემიების, საახლობლო ჯილდოების სოკოებივით მომრავლებას აპროტესტებს:

– ვისაც გული შეგტკივათ ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების ბედზე, ვისაც გაწუხებთ ჩვენს ქვეყანაში ფსევდოხელოვანთა, ცრუმეცნიერთა, ცრუაკადემიების, საახლობლო ჯილდოების სოკოებივით მომრავლება... მწერლებს, მეცნიერებს, მხატვრებს, მუსიკისა და ხელოვნების სხვა სფეროთა წარმომადგენლებს, 22 თებერვალს საქართველოს მწერალთა სასახლეში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გიწვევთ დისკუსიაზე: „საქართველოს ინტელექტუალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის", – ნათქვამია რუსთაველის საზოგადოების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეხვედრაზე მისულ დაინტერესებულ საზოგადოებას ესაუბრება რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დავით შემოქმედელი, რუსთაველის საზოგადოების ენობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, რუსთაველის საზოგადოების კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი, რუსთაველის საზოგადოების მრჩეველი, არქიტექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე.

მწერალთა სახლში დაგეგმილ შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## შედეგები

### 19 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ლესტერი .................... 3:0
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 23 | 17 | 3 | 3 | 51-23 | 54 |
| 2.სიტი | 24 | 16 | 4 | 4 | 60-24 | 52 |
| 3.მანჩესტერი | 24 | 15 | 4 | 5 | 41-28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 24 | 13 | 3 | 8 | 44-35 | 42 |
| 5.ნიუკასლი | 23 | 10 | 11 | 2 | 35-15 | 41 |
| 6.ფულემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-30 | 38 |
| 7.ბრაიტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-29 | 35 |
| 8.ლივერპული | 22 | 10 | 5 | 7 | 38-28 | 35 |
| 9.ბრენტფორდი | 23 | 8 | 11 | 4 | 37-30 | 35 |
| 10.ჩელსი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-23 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 23 | 8 | 4 | 11 | 28-38 | 28 |
| 12.კრ.პალასი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 13.ნოტინგემი | 23 | 6 | 7 | 10 | 18-38 | 25 |
| 14.ლესტერი | 23 | 7 | 3 | 13 | 36-41 | 24 |
| 15.ვულვზი | 23 | 6 | 5 | 12 | 17-32 | 23 |
| 16.ევერტონი | 23 | 5 | 6 | 12 | 17-30 | 21 |
| 17.ბორნმუთი | 23 | 5 | 6 | 12 | 21-44 | 21 |
| 18.ვესტ ჰემი | 23 | 5 | 5 | 13 | 19-29 | 20 |
| 19.ლიდსი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-39 | 19 |
| 20.საუთჰემპტონი | 23 | 5 | 3 | 15 | 19-40 | 18 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

უნიონი-შალკე .................................. 0:0
დორტმუნდი-ჰერტა ........................ 4:1
ლევერკუზენი-მაინცი ..................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 12 | 7 | 2 | 61-21 | 43 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 14 | 1 | 6 | 44-27 | 43 |
| 3.უნიონი | 21 | 13 | 4 | 4 | 35-24 | 43 |
| 4.ფრაიბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 34-31 | 40 |
| 5.ლაიფციგი | 21 | 11 | 6 | 4 | 43-26 | 39 |
| 6.აინტრახტი | 21 | 11 | 5 | 5 | 42-29 | 38 |
| 7.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 38-29 | 30 |
| 8.გლადბახი | 21 | 8 | 5 | 8 | 38-35 | 29 |
| 9.მაინცი | 21 | 8 | 5 | 8 | 33-34 | 29 |
| 10.ლევერკუზენი | 21 | 8 | 3 | 10 | 35-35 | 27 |
| 11.ვერდერი | 21 | 8 | 3 | 10 | 31-41 | 27 |
| 12.კიოლნი | 21 | 6 | 8 | 7 | 32-34 | 26 |
| 13.აუგსბურგი | 21 | 7 | 3 | 11 | 26-36 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 4 | 7 | 10 | 26-36 | 19 |
| 15.ჰოფენჰაიმი | 21 | 5 | 4 | 12 | 29-40 | 19 |
| 16.ბოხუმი | 21 | 6 | 1 | 14 | 24-51 | 19 |
| 17.ჰერტა | 21 | 4 | 5 | 12 | 25-40 | 17 |
| 18.შალკე | 21 | 2 | 7 | 12 | 14-41 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-არმინია ......................... 2:1
ზანდჰაუზენი-კარლსრუე ............... 0:3
ჰაიდენჰაიმი-ნიურნბერგი .............. 5:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ელჩე-ესპანიოლი ............................ 0:1
რაიო-სევილია ................................ 1:1
ატლეტიკო-ბილბაო ........................ 1:0
ბარსელონა-კადისი ......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 45-7 | 59 |
| 2.რეალი | 22 | 16 | 3 | 3 | 46-17 | 51 |
| 3.სოსიედადი | 22 | 13 | 4 | 5 | 32-22 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 22 | 12 | 5 | 5 | 31-17 | 41 |
| 5.ბეტისი | 22 | 11 | 4 | 7 | 29-23 | 37 |
| 6.რაიო | 22 | 9 | 7 | 6 | 29-24 | 34 |
| 7.ბილბაო | 22 | 9 | 5 | 8 | 31-23 | 32 |
| 8.მალიორკა | 22 | 9 | 4 | 9 | 20-22 | 31 |
| 9.ვილიარეალი | 22 | 9 | 4 | 9 | 24-22 | 31 |
| 10.ოსასუნა | 22 | 8 | 6 | 8 | 19-21 | 30 |
| 11.ხირონა | 22 | 7 | 6 | 9 | 33-33 | 27 |
| 12.სევილია | 22 | 6 | 7 | 9 | 24-30 | 25 |
| 13.ესპანიოლი | 22 | 5 | 9 | 8 | 27-33 | 24 |
| 14.სელტა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 15.ვალიადოლიდი | 22 | 7 | 3 | 12 | 16-30 | 24 |
| 16.ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 27-40 | 22 |
| 17.კადისი | 22 | 5 | 7 | 10 | 17-35 | 22 |
| 18.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 26-26 | 20 |
| 19.ხეტაფე | 21 | 4 | 7 | 10 | 18-28 | 19 |
| 20.ელჩე | 22 | 1 | 6 | 15 | 15-45 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-გრანადა ............................... 1:1
ალავესი-იბიცა ................................ 4:2
ანდორა-ხიხონი .............................. 1:0
ბურგოსი-ალბასეტე ....................... 1:1
ვილიარეალი ბ-რასინგი ................. 2:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ლეჩე .............................. 1:2
სალერნიტანა-ლაციო ..................... 0:2
ფიორენტინა-ემპოლი ..................... 1:1
სპეცია-იუვენტუსი .......................... 0:2
რომა-ვერონა ................................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 23 | 20 | 2 | 1 | 56-15 | 62 |
| 2.ინტერი | 23 | 15 | 2 | 6 | 44-27 | 47 |
| 3.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-19 | 44 |
| 4.მილანი | 23 | 13 | 5 | 5 | 39-30 | 44 |
| 5.ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 39-19 | 42 |
| 6.ატალანტა | 23 | 12 | 5 | 6 | 42-26 | 41 |
| 7.იუვენტუსი | 23 | 14 | 5 | 4 | 35-17 | 32 |
| 8.ბოლონია | 23 | 9 | 5 | 9 | 30-33 | 32 |
| 9.ტორინო | 22 | 8 | 6 | 8 | 22-23 | 30 |
| 10.უდინეზე | 23 | 7 | 9 | 7 | 31-28 | 30 |
| 11.მონცა | 23 | 8 | 5 | 10 | 28-31 | 29 |
| 12.ემპოლი | 23 | 6 | 10 | 7 | 22-29 | 28 |
| 13.ლეჩე | 23 | 6 | 9 | 8 | 24-26 | 27 |
| 14.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 24-30 | 25 |
| 15.სასუოლო | 23 | 6 | 6 | 11 | 26-35 | 24 |
| 16.სალერნიტანა | 23 | 5 | 6 | 12 | 25-44 | 21 |
| 17.სპეცია | 23 | 4 | 7 | 12 | 19-39 | 19 |
| 18.ვერონა | 23 | 4 | 5 | 14 | 20-34 | 17 |
| 19.სამპდორია | 23 | 2 | 5 | 16 | 11-38 | 11 |
| 20.კრემონეზე | 22 | 0 | 8 | 14 | 15-40 | 8 |

შენიშვნა:
იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

**იტალია. სერია ბ**

მოდენა-ჯენოა ................................ 2:2

**საფრანგეთი. ლიგა 1**

პსჟ-ლილი ..................................... 4:3
ბრესტი-მონაკო .............................. 1:2
ლორიანი-აიაჩო ............................. 3:0
რენი-კლერმონი ............................. 2:0
ტრუა-მონპელიე ............................. 0:1
ლანსი-ნანტი .................................. 3:1
ტულუზა-მარსელი .......................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 18 | 3 | 3 | 59-23 | 57 |
| 2.მარსელი | 24 | 16 | 4 | 4 | 48-22 | 52 |
| 3.მონაკო | 24 | 15 | 5 | 4 | 53-31 | 50 |
| 4.ლანსი | 24 | 14 | 7 | 3 | 38-19 | 49 |
| 5.რენი | 24 | 14 | 4 | 7 | 44-28 | 43 |
| 6.ლილი | 24 | 12 | 5 | 7 | 43-31 | 41 |
| 7.ნიცა | 24 | 10 | 8 | 6 | 30-21 | 38 |
| 8.ლორიანი | 24 | 11 | 6 | 7 | 38-35 | 39 |
| 9.ლიონი | 24 | 10 | 5 | 9 | 36-27 | 35 |
| 10.რეიმსი | 24 | 7 | 13 | 4 | 30-26 | 34 |
| 11.ტულუზა | 24 | 9 | 5 | 10 | 41-42 | 32 |
| 12.კლერმონი | 24 | 8 | 6 | 10 | 24-33 | 30 |
| 13.ნანტი | 24 | 6 | 10 | 8 | 25-29 | 28 |
| 14.მონპელიე | 24 | 8 | 2 | 14 | 35-45 | 26 |
| 15.სტრასბური | 24 | 4 | 9 | 11 | 29-42 | 21 |
| 16.ბრესტი | 24 | 4 | 8 | 12 | 25-40 | 20 |
| 17.ტრუა | 24 | 4 | 7 | 13 | 33-53 | 19 |
| 18.აიაჩო | 24 | 5 | 3 | 16 | 18-45 | 18 |
| 19.ოსერი | 24 | 4 | 6 | 14 | 21-48 | 18 |
| 20.ანჟე | 24 | 2 | 4 | 18 | 20-50 | 10 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

კამბური-ჰერენვენი ........................ 1:2
იგლზი-ტვენტე ............................... 2:0
უტრეხტი-პსვ ................................ 2:2
აიაქსი-სპარტა ............................... 4:0
ექსელსიორი-ნაიმეგენი ................. 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სანტა კლარა-ფამილიკაუ .............. 1:3
ბრაგა-აროუკა ................................ 2:0
კასა პია-გიმარაეში ......................... 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ბრიუგე ............................. 2:2
გენტი-ლეუვენი .............................. 2:0
კორტრაიკი-ანდერლეხტი ............... 2:2
სტ.ტრუიდენი-ვესტერლო .............. 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლუშტენაუ-აუსტრია ....................... 1:0
ტიროლი-ზალცბურგი ..................... 1:3
რაპიდი-ალტახი ............................. 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-ჰართსი ........................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-ოლიმპიაკოსი ...................... 0:3
პანეთოლიკოსი-იონიკოსი .............. 1:0
აპოკი-აეკი ..................................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლიბერეცი .................... 2:2
ბაზელი-სერვეტი ........................... 2:2
გრასჰოპერსი-ციურიხი ................... 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-ბოჰემიანსი 1905 ................... 0:0
პარდუბიცე-ზლინი ........................ 0:0
სლოვაცკო-პლზენი ........................ 2:0
სპარტა-იაბლონეცი ........................ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგნიცა-პლოცკი .......................... 2:1
ლეხი-ზაგლებიე ............................ 1:2
პიასტი-ლეგია ............................... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ნორდსიელანდი ............. 1:1
ოდენსე-რანდერსი ......................... 0:0
სილკებორგი-კოპენჰაგენი ............. 0:3
ბრონდბიუ-ჰორსენსი ..................... 5:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლევან მაისაშვილი: „მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ. დისციპლინა უნდა გამოვასწოროთ“



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ესპანეთთან 41:3 გამარჯვების შემდეგ გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ტორელავეგაში გამართულ მატჩში, ჩვენი გუნდის მიერ გატანილი 7 ლელოდან 6 ხაზის მოთამაშეებზე მოდის, ერთიც შერკინების ანგარიშზეა. გუნდმა თითქმის მთელი 80 წუთი ხელდახელ, მაღალ ტემპში შეტევებში გაატარა, ეპიზოდებში კი დაცვაში გაუვალ კედლად აღიმართა და მეტოქეს პრესტიჟის ლელოს გატანის საშუალება 12 კაცის ამარამაც არ მისცა.

**ლევან მაისაშვილი:**

– წელს ჩვენი გუნდის მესამე თამაში იყო და ლოგიკურია, კარგი ხარისხი რომ ვაჩვენეთ. ყველაზე კარგი ისაა, რომ გუნდს გაცნობიერებული აქვს, რამდენად მნიშვნელოვანია დავალებების შესრულება. ერთადერთი, რითაც უკმაყოფილო ვარ, დისციპლინაა. მსაჯის გადაწყვეტილებები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, მაგრამ ამ კუთხით სამუშაო ნამდვილად გვაქვს. რაგბი ევროპაზე რატომღაც მსაჯები ჩვენ მიმართ გადამეტებულ სიმკაცრეს იჩენენ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ემოციების მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მაღალი დონის გუნდი ამდენ შეცდომას არ გვაპატიებს.

როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში რაც დავგეგმეთ, შევასრულეთ და ბევრი კარგი მომენტი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი გადახალისებული შემადგენლობით დაგვიხვდა, ჩვენთვის მუდამ იყო და რჩება სახიფათო მოწინააღმდეგედ. გუნდად, რომელიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვის, განსაკუთრებით საკუთარი გულშემატკივრის წინაშე და ჩვენ მათ წარმატების არანაირი შანსი არ დავუტოვეთ, რაც ნამდვილად იძლევა კმაყოფილების საბაბს.

მაისაშვილი ამბობს, რომ მიზანი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-15-ედ მოგებასთან ერთად, გუნდის მსოფლიო თასისთვის მომზადებაა.

– საწყისი ორი კვირა თამაშისთვის არატიპური დატვირთვები გვქონდა, რადგან ვცდილობთ, ეს პერიოდი მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ. რაგბი ისეთ დონეზეა, რომ ფიზიკურად არ ხარ მზად, შესაძლოა, ტემპსა და დატვირთვებს ვერ გაუძლო. ირლანდიისა და საფრანგეთის შეხვედრაში ბურთი თამაშში 46 წუთი იყო, რაც დაუჯერებელი ციფრია. ჩვენი მიზანი ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო თასისთვის მზადებაა, რაც ადვილი არ არის.

ესპანეთთან მატჩის მიწურულს გუნდის კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ მცირე დაზიანების გამო მოედანი ნაადრევად დატოვა. თუმცა, დაზიანება სერიოზული არ უნდა იყოს. ამ მიზეზით ბორჯღალოსნებს მეტოქის ბოლო შეტევის მოგერიება 12 კაცით მოუწია.

– არ გავრისკეთ და შარიქაძე მოედნიდან გავიყვანეთ, მიუხედავად იმისა, რომ თავად წინააღმდეგი იყო. 12 კაცით არ დავრჩებოდით, რომ არა მსაჯის უცნაური გადაწყვეტილება, რომელმაც გატანილი ლელო გააუქმა და მოედნის ცენტრში ჯარიმა დანიშნა. თანაც ისე, რომ სერგო აბრამიშვილს ყვითელი ბარათი უჩვენა. არადა, ის ამ ეპიზოდთან საერთოდ არ იყო კავშირში. მეტოქე მოლში აშკარა თამაშგარედან თამაშობდა და ძალისმიერად გავიყვანეთ. ასევე საეჭვო იყო გელა აფრასიძის სინბინი, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ესპანელების დარღვევებზე მსაჯს რეაგირება არ ჰქონდა.

შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად და ვარჯიშებზე განვიხილავდით სცენარს, როგორ უნდა გვემოქმედა, თუ მოედანზე კაცნაკლული დავრჩებოდით. გუნდი მზად არის უარესი ვარიაციებისთვის და სწორედ ამიტომ შეცვლებს დაგეგმილზე უფრო ადრე ვაკეთებთ, რაც ტრავმის შემთხვევაში ერთგვარი რისკია და ასე მოხდა შარიქაძის შემთხვევაში. მისი შემცვლელი, უბრალოდ, არ გვყავდა, მაგრამ ფაქტია, გუნდმა 14, 13 და 12 კაცის ამარა თავი კარგად დაიცვა და ესპანეთს ლელო არ გაატანინა.

მას შემდეგ, რაც პორტუგალიამ რუმინეთი 38:20 დაამარცხა ცხადი გახდა, რომ 5 მარტს ნახევარფინალში რუმინეთს ვუმასპინძლებთ.

– მოთამაშეები გუნდებში გავუშვით და ნახევარფინალისთვის კვირიდან შევიკრიბებით. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსამზადებლად 6 დღე გვექნება, რადგან ჩვენ ვუფრთხილდებით მოთამაშეებს და პირველი ორი დღე ადაპტაციასა და აღდგენას დაეთმობა. ადვილი არ არის ასეთი დატვირთვების და გადაფრენების შემდეგ ენერგიის აღდგენა. მომავალი შეხვედრისთვის გაფართოებულ შემადგენლობაში მცირე ცვლილებები თუ გვექნება.

# შერმადინმა და შენგელიამ ფინალები წააგეს




ორ ქართველ კალათბურთელს შეეძლო სხვადასხვა ქვეყნის თასის მოპოვება და ორივემ მარცხი განიცადა.

ესპანეთის თასის ფინალში გიორგი შერმადინის ტენერიფე უნიკახას შეხვდა და 80:83 დამარცხდა.

შერმადინი ორივე გუნდში საუკეთესო იყო და მატჩის მვპ-ც გახდა, მაგრამ ეს მთლიანობაში დიდი ვერაფერი ნუგეშია – ტიტული ვერ მიიღო.

ჩვენებურმა პარკეტზე 32 წუთი დაჰყო, რა დროშიც 20 ქულა, 9 მოხსნა და 2 პასი მითვალა. 8-დან 7 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 31 იყო.

იტალიის თასსაც რიგითი გამარჯვებული ჰყავს. ბრეშამ მეოთხედფინალში მილანს სძლია, ნახევარფინალში – პეზაროს, ფინალში კი თორნიკე შენგელიას ვირტუსს 84:76 მოუგო და ბოლონიელები ტიტულის გარეშე დატოვა.

აღსანიშნავია, რომ ბრეშა თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდა. მართალია, ბოლო მეოთხედში მათი უპირატესობიდან მხოლოდ ქულა დარჩა, გამარჯვებამდე მაინც მივიდა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა, სანამ მე-5 პერსონალურ ფოლს მიიღებდა. თორნიკემ 8-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 12 ქულას 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 5 პასი წაამატა.

ქართველმა მძიმე ფორვარდმა ბურთი 4-ჯერ დაკარგა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 6-ჯერ დაირღვა. შედეგად, შენგელიას სარგებლიანობის კოეფიციენტი 13-ს გაუტოლდა.

ფინალური მატჩების შემდეგ ორივე კალათბურთელმა გეზი ამსტერდამისკენ აიღო, სადაც საქართველოს ნაკრებს შეუერთდნენ.

# ილიას ზუროსი: „ნიდერლანდებთან მატჩი ჩვენთვის ფინალია“

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ნიდერლანდებში ჩავიდა, სადაც ძალიან პრინციპული მატჩი ელის. ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი ისტორიულ მიჯნაზეა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი ორივე მატჩის მოგება სჭირდება.

ნიდერლანდებთან თამაში 23 თებერვალს, 22:30 საათზეა ჩანიშნული. მატჩის შემდეგ ჩვენი გუნდი სამშობლოში ჩარტერული რეისით დაბრუნდება, რათა საკვალიფიკაციოს დასკვნითი მატჩისთვის მოსამზადებლად მეტი დრო და ენერგია ჰქონდეს. ისლანდიასთან შეხვედრა 26 თებერვალს თბილისი არენაზე 20:00 საათზე გაიმართება.

საქართველოს ნაკრები თბილისიდან ნიდერლანდებში 4 კალათბურთელის გარეშე ჩავიდა. გუნდს ამსტერდამში შეუერთდნენ თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, ბექა ბურჯანაძე და ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელი, თად მაკფადენი.

**ილიას ზუროსი:**

– მიმდინარე სანაკრებო ფანჯარა ყველასთვის დიდი გამოწვევაა. კარგად ვიცით, რომ მოგებით მსოფლიოს ჩემპიონატზე გავდივართ, რაც კალათბურთისთვის, ზოგადად სპორტისა და გულშემატკივრებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრირებული და ფოკუსირებული ვიყოთ, კარგად გავიაზროთ თითოეული მატჩის მნიშვნელობა. ნიდერლანდებით უნდა დავიწყოთ – ახალგაზრდული გუნდია და წინა ფანჯარაში კარგი კალათბურთი აჩვენეს. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ, ამიტომ ჩვენ უნდა ვითამაშოთ მაქსიმალურად ყურადღებით და შინ გამარჯვებული დავბრუნდეთ, შემდეგ კი დასკვნით მატჩში სავსე ტრიბუნების წინ უნდა ვითამაშოთ.

კარგია, რომ შენგელია და შერმადინი ნაკრებში მოდიან. ამის გაკეთება რთული იყო. განსაკუთრებული მადლობა ფედერაციასა და შენგელიას, რადგან დაუჯერებლად რთული სამუშაო გასწიეს, რომ თოკო ჩვენთან ერთად ყოფილიყო. შენგელიამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორ უყვარს სამშობლო და ნაკრები. ნიდერლანდებთან მატჩი ჩვენთვის ფინალია, ისევე, როგორც ისლანდიასთან.

## მეთევზემ 250-კილოგრამიანი სკატი დაიჭირა



არგენტინაში 42 წლის მეთევზე ანდრეს უილჩენმა ორსაათიანი ორთაბრძოლის შემდეგ უზარმაზარი სკატი დაიჭირა.

მამაკაცი მდინარე პარანაზე კატერით თევზაობდა. მოულოდნელად ძუა მაგრად დაიჭიმა და უილჩენი მიხვდა, რომ ანკესზე უზარმაზარი თევზი წამოეგო. კაცი მის წყლიდან ამოყვანას შეუდგა, თუმცა ის არ ემორჩილებოდა.

– უკვე მზად ვიყავი, თავი დამენებებინა, – იხსენებს მეთევზე, – ის ძალიან ღონიერი იყო და ფსკერს არ სცილდებოდა.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, თავად გადავარდნილიყო წყალში, კატერი გაჩერებული და ადგილზე დაბმული რომ არ ყოფილიყო. იმისთვის, რომ საბოლოოდ 250– კილოგრამიანი თევზი წყლიდან ამოეყვანა, უილჩენს ორსაათიანი ბრძოლა მოუხდა.

– ყველაზე რთული სკატის კატერში ათრევა იყო! – ამტკიცებს არგენტინელი, რომელმაც ეს საბოლოოდ მეგობრების დახმარებითა და ბლოკირების სისტემის გამოყენებით მოახერხა. მეთევზის აღიარებით, ის ყველაზე დიდი თევზია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე დაუჭერია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599–532–690 – 12-დან 17 საათამდე**

# რუსები ლტოლვილთა ნაკრებში — ასეთია პოლონეთის ინიციატივა



რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ერთი წლის თავზე ევროკავშირი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) მიერ პარიზის ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების დაშვების მცდელობას რეზოლუციით გმობს.

444 ხმით მიღებული რეზოლუციის თანახმად (26 წინააღმდეგი იყო, ხოლო 37-მა თავი შეიკავა), რუსეთისა და ბელარუსის სპორტსმენების ნეიტრალური სტატუსით დაშვება ამ ქვეყნებისთვის დაწესებულ საყოველთაო იზოლაციას ეწინააღმდეგება.

თავის მხრივ, სოკ-ი აცხადებს, რომ რუსეთის და ბელარუსის ჩამოშორება დისკრიმინაცია იქნება. არადა, შარშან თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან მალევე საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს რუსეთისა და ბელარუსის მოკვეთის რეკომენდაციითაც მიმართა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება სოკ-ისა და მისი პრეზიდენტის თომას ბახის მიერ შეცვლილ დამოკიდებულებას აკრიტიკებს.

**დმიტრო კულება:**

– თუ რუსი და ბელარუსი ათლეტები პარიზში უკრაინელების ნაცვლად ჩავლენ, ეს იქნება მორალის, სპორტისა და პოლიტიკური ნორმების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. რუსი სპორტსმენების უმეტესობა, რომლებმაც ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე მედლები მოიპოვეს, რუსული არმიის სპორტულ კლუბებს წარმოადგენდა.

პოლონეთის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი კამილ ბორტნიჩუკი ახალი წინადადებით გამოდის – პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენები შეიყვანონ „ლტოლვილთა ნაკრების“ შემადგენლობაში.

**კამილ ბორტნიჩუკი:**

– რუსული სპორტის ნეიტრალურობა ფიქციაა. რუსეთში არ არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც ავტორიტარული ან ტოტალიტარული ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იქნებიან. რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დამოუკიდებელი ინსტიტუტი არ არის.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბრალდება, თითქოს ნაციონალიზმით ვხელმძღვანელობთ და ხდება გარკვეული სახის დისკრიმინაცია არსებული პასპორტის გამო, გამოვდივართ წინადადებით, რომ შეიქმნას ლტოლვილთა ნაკრები. არა ნეიტრალური ნაკრები, არამედ ლტოლვილთა ნაკრები, სადაც იქნებოდნენ რუსები და ბელარუსები, რომლებიც პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმების წინააღმდეგნი არიან.

ეს შეიძლება იყოს საინტერესო საფუძველი სოკ-თან მოლაპარაკებებისთვის და საშუალებას მისცემს მას, ამ სიტუაციაში სწორი პოზიცია შეინარჩუნოს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 2. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. ქალაქი გერმანიაში, სადაც განთავსებულია „მერსედესის“ სათავო ოფისი; 4. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 5. კომბინაცია პოკერში; 9. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 10. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 14. პროდუქციის გასაღების ბაზრის შესწავლა და მისი მართვა; 15. სვანური ლირიკული ჟანრის სიმღერა; 16. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 19. ხორცის ნახარში; 20. დედამიწის არქტიკული სარტყლის მარადყინულოვანი, უტყეო სივრცე; 21. დაქირავებული კავალერი.

**თარაზულად:** 6. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 7. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 8. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 12. ძველებური ორი ან სამანძიანი იალქნიანი ხომალდი; 13. ფულის გაცემა სესხად; 17. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 18. წითელი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 22. მგალობელი ჩიტი; 23. იტალიის ნავსადგური ვენეციის ყურეში; 24. მომღერალთა, მოცეკვავეთა, მუსიკოსთა ჯგუფი; 25. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. კრიკი; 3. ვალენსია; 4. ბროკოლი; 5. შინჰოფერი; 9. ავერსი; 12. ბოზბაში; 14. ქულამა; 15. რიწა; 17. ბურჯი; 18. იკაო.

**თარაზულად:** 6. ჯენერი; 7. გაგარინი; 8. ოპტიკა; 10. ვოლვო; 11. ნაცარქექია; 13. ექსპრესი; 16. ყოჩები; 19. კარავაჯო; 20. საფიხვნო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაკბეტი; 2. სიმინდი; 3. ჰინდიკუში; 4. სირაჯი; 5. ორლანი; 9. დაფნე; 10. სტაპელი; 14. ციკლოტრონი; 15. ჯარაექიმი; 16. ანდორა; 19. ბოჭორმა; 20. სალამო; 21. ატლასი.

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. კალიბრი; 8. იბერია; 11. მარჯანი; 12. ოდეტა; 13. გურმანი; 17. გარიბალდი; 18. კანდელაკი; 22. თაფლუჭი; 23. რეტორტა; 24. ომნიბუსი; 25. პითაგორა.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

21 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6385

ევრო — 2.8198

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1736

100 რუსული რუბლი — 3.5576

## ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისათვის




## პსჟ-მ მესის ლამაზი გოლის წყალობით მოიგო



პსჟ-მ საფრანგეთის ჩემპიონატის 22-ე ტურში საკუთარ მოედანზე ლილი მიიღო და დაამარცხა 4:3. მატჩი ძალიან დრამატული გამოდგა. მეორე ტაიმში პსჟ აგებდა 2:3-ს და მათ ტრავმის გამო ნეიმარიც დაკარგეს. მატჩის ბოლო წუთზე ლიონელ მესიმ ლამაზი საჯარიმო დარტყმა შეასრულა და საბოლოოდ თავის გუნდს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოუტანა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს გამოტოვებს ნეიმარი ტრავმის გამო.

## ლევანდოვსკი: „კადისთან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე კადისი დაამარცხა 2:0. ერთ-ერთი გოლი რობერტ ლევანდოვსკის ანგარიშზეა. მატჩის შემდეგ ლევანდოვსკიმ თქვა, რომ ბარსელონა კარგ ფორმაშია და გუნდს შეუძლია ტიტულების მოგება: „თითქმის იდეალური შეხვედრა გვქონდა, თუმცა მეორე ტაიმში მოვეშვით და მეტოქეს შეეძლო, ამით ესარგებლა. მანჩესტერ იუნაიტედთან მძიმე მატჩი გველის და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

## ერიკ ტენ ჰააგი: „ჩვენ ოპტიმალურ ფორმაში ვართ“



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე ლესტერი დაამარცხა 3:0. მანჩესტერელები მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშის სადავეებს. ერიკ ტენ ჰააგის თქმით, მისი გუნდი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია და მათ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ: „ძალიან კმაყოფილი ვარ თამაშით და ფეხბურთელების პროგრესი სახეზეა. ასე უნდა გავაგრძელოთ და, დარწმუნებული ვარ, მალე ტიტულების მოგებასაც დავიწყებთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– უქალოდ ცუდია.

– როდესაც უქალოდ ცუდია – ეს კარგია, მაგრამ, როდესაც უქალოდ კარგია, მაშინ ეს უკვე ცუდია...

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს რეგისტრატურაა?

– დიახ.

– ქირურგს მიღება აქვს?

– დიახ, ჩვეულებრივ.

– ჩვეულებრივს კი არა, ავადმყოფებს თუ იღებს?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორაა საქმე?

– როგორ და ამ ქვეყანაში უფასო ექიმს ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ ავად ხარ, ხოლო ფასიანს, რომ ჯანმრთელი ხარ!

●●●

სახლში დაბრუნებული შვილი მამას ეუბნება:

– მამა, სკოლაში გიბარებენ.

– რა მოხდა?

– ისევ მინა ჩავამტვრიე.

– რა ამბავია, სკოლაა თუ ორანჟერეა?

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს ფსიქიატრიულია?

– დიახ.

– ჩემი მანქანა მოიპარეს და ქურდის პოვნაში დამეხმარეთ.

– ჩვენთან კი არა, პოლიციაში უნდა დარეკოთ.

– იცით რაშია საქმე, 1986 წელს გამოშვებული „მოსკვიჩი“ მომპარეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დოდონა ნამორაძე ბერძნული „ვოისის“ ნახევარფინალისტია



ქართველი მომღერალი დოდონა ნამორაძე ბერძნული „ვოისის“ ნახევარფინალისტთა შორის მოხვდა.

დოდონამ რინგზე მოწინააღმდეგეს მოუგო და ხმათა 89 პროცენტით ნახევარფინალში გადავიდა. მის მიერ შესრულებული ერთ-ერთი მსოფლიო ჰიტი „როცა მამაკაცს უყვარს ქალი“ მწვრთნელებმაც და დამსწრე საზოგადოებამაც მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს.

## ნანა ფაჩუაშვილს 80 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში მიულოცეს



კინოსა და თეატრის მსახიობის ნანა ფაჩუაშვილის 80 წლის იუბილე მის მშობლიურ რუსთაველის ეროვნულ თეატრში აღინიშნა.

თეატრის მცირე დარბაზში ხელოვანის საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, რიგითმა მაყურებლებმა. მიწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ ნანა ფაჩუაშვილის შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა. მსახიობმა რამდენიმე სპექტაკლიდან ნაწყვეტები ითამაშა.

საღამოზე ნაჩვენები იყო რეჟისორ ნინო დადვანის ფილმი „მე და ჩემი 88 ანარეკლი“, რომელიც იუბილარი მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს.

## ლადო მესხიშვილის დაბადების დღე დიდუბის პანთეონში აღინიშნა



ლეგენდარული ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის დაბადების დღე დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში აღინიშნა.

უკვე 4 ათეული წელია, რაც ქართული მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლები უხუცესი ქართველი კინომცოდნის, პროფესორ გოგი დოლიძის ხელმძღვანელობით დიდუბის პანთეონში ლეგენდარული ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის დაბადების დღეს საჯაროდ აღნიშნავენ.

ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა 1982 წელს როცა, გოგი დოლიძემ, როგორც რეჟისორმა, აღადგინა – ქართულად თარგმნა, გაახმოვანა და მუსიკალურადაც გააფორმა ლადო მესხიშვილის შემორჩენილი ორადორი რუსული წარმოების მხატვრული ფილმი: „ორლოვების ოჯახის სირცხვილი“ და „შურისძიების ღმერთი“.

დიდუბის პანთეონში შეკრებილმა მსახიობებმა, პოეტებმა, მხატვრებმა, პროფესორებმა და ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ლეგენდარული მსახიობი, როგორც ყოველთვის, გადაიხადეს სამოქალაქო პანაშვიდი და მსახიობის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

## მაღაზიაში დისთვის პროდუქტების შესაძენად შესული ქალი გამდიდრდა




ამერიკის ვირჯინიის შტატის დასახლება ჩესტრფილდის მკვიდრი მაღაზიაში დისთვის პროდუქტების საყიდლად მივიდა, მათთან ერთად ლატარიის ბილეთიც შეიძინა და გამდიდრდა.

ფოუნ ჰიუგსი მაღაზიაში თავისი დის კარენ ფალტონისთვის პროდუქტის საყიდლად შევიდა და იქ შესვლისთანავე გადაწყვიტა, უახლოესი გათამაშების ლატარიის ბილეთიც შეეძინა.

რიცხვები, რომლებიც ქალმა ბილეთში მიუთითა, გათამაშების შედეგებს დაემთხვა, შედეგად კი ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 148,5 ათასი დოლარი შეადგინა.

– გაოგნებული დავრჩი. ასეთი მსხვილი მოგება არასოდეს მიმიღია! – განაცხადა ჰიუგსმა.

ქალი ლატარიის შტაბ-ბინაში მოგებული თანხის მისაღებად დასთან ერთად მივიდა. დებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რაში აპირებენ მოგებული ფულის დახარჯვას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## საბა ასლამაზიშვილი „სიღნაღის თეატრალური ფესტივალის“ სამხატვრო ხელმძღვანელად წარადგინეს



„სიღნაღის თეატრალური ფესტივალის“ სამხატვრო ხელმძღვანელად 27 წლის ახალგაზრდა რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი წარადგინეს. იგი ჯერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე თეატრალური ხელოვნების პროგრამასა და დრამის რეჟისურას სწავლობდა, შემდეგ კი – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დადგა სპექტაკლები: „მსახიობები, რომლებსაც ვერ ხედავენ“, ნაწყვეტი პიესიდან „ოიდიპოს მეფე“, „მეტამორფოზები“ ოვიდიუს ნაზონის მიხედვით, სამუელ ბეკეტის „პირველი სიყვარული“ და ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“.

საბა ასლამაზიშვილი დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია „ხვლიკის“ დამფუძნებელია. ის თბილისისა და რეგიონების კერძო და სახელმწიფო თეატრებში დგამს სპექტაკლებს. რეჟისორმა სპექტაკლები დადგა თავისუფალ თეატრში, ილიაუნის თეატრში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, მესხეთის თეატრში, ოზურგეთის თეატრში, თბილისის ცირკში. რეჟისორმა მაყურებელს შესთავაზა შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებები“, დავით კლდიაშვილის „უბედურება“ და „ირინეს ბედნიერება“, დათა თავაძის „დედაომი“, ანა მარია გურგენიშვილის „ბიოციდი“ და მოლიერის „დონ ჟუანი“... მას მიღებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდო თუ პრემია, არის „წინანდლისა“ და „დურუჯის“ პრემიების ნომინანტი სპექტაკლით „მარატ/სადი“. დაჯილდოებულია „ვერცხლის ქოლგითა“ და ახალგაზრდა რეჟისორისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზით ტაშკენტის საერთაშორისო ახალგაზრდულ თეატრალურ ფორუმზე. გაიმარჯვა ციფრული თეატრალური ფესტივალის ნომინაციაში „მაყურებლის ხმა“ სპექტაკლით „უბედურება“. მიენიჭა შალვა (მუმუშა) გაწერელიას სახელობის ჯილდო სპექტაკლისთვის „უბედურება“. წელს კი საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაჯილდოებაზე მიიღო გრანპრი სპექტაკლისთვის „ირინეს ბედნიერება“.

„თეატრალური ფესტივალი სიღნაღში“ ყოველწლიურად ივნისის ბოლოს 1 კვირის განმავლობაში გაიმართება. მისი მიზანია ქვეყანაში სამოყვარულო ან/და სახალხო თეატრების მხარდაჭერა და ქართულ თეატრალურ სამყაროსთან ინტეგრაცია, სახელმწიფო თეატრების წახალისება სამოყვარულო ან/და სახალხო დასებთან კოპროდუქციების შექმნისათვის, სიღნაღის კულტურულ-შემოქმედებით ცენტრად ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 21 თებერვლისათვის



**ვერძი** – პლანეტები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან. ყოველგვარი არასაჭირო კონტაქტისგან თავი შეიკავეთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** – შესაძლოა შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ. გადაწყვეტილებას ნაუცბათევად ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – გეგმების განხორციელებაში ხელი გეშლებათ. ნუ დაღონდებით. ბოლომდე იბრძოლეთ. **ლომი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდეთ. დაკარგულს ვერ დაიბრუნებთ. **ქალწული** – ჯანმრთელობაზე სერიოზულად იზრუნეთ. ერიდეთ ურთიერთობას ახალგაცნობილ ადამიანებთან. **სასწორი** – ქალაქგარეთ გასვლა, მოგზაურობა, ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. ხელმძღვანელ პირებთან კონფლიქტი როგორმე თავიდან უნდა აიცილოთ. **მორიელი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება გმართებთ. საქმიან და პირად საკითხებს იოლად აგვარებთ. **მშვილდოსანი** – ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. მეგობრებს შემოთავაზებულ დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა თქვენს მომავალზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დღეს მხოლოდ იმ საქმით დაკავდით, რომელიც ყველაზე კარგად გამოგდით. **მერწყული** – შემოქმედებითი, სულიერი და სექსუალური შესაძლებლობები იზრდება. ნებისმიერ სფეროში თქვენი მოღვაწეობა სასიკეთო შედეგით დასრულდება. **თევზები** – მიენდეთ ინტუიციას. მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით იმოქმედეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ქვიანი, ქვიშიანი ნიადაგი; 5. აშშ-ის სამხედრო სამინისტრო; 9. ბრალდებულის დამცველი სასამართლო; 12. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 14. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 15. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** ხილით, ბოსტნეულით, ტკბილეულით მოვაჭრე ძველ თბილისში; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. სახარატო ჩარხის მთავარი მბრუნავი ლილვი; 16. ესპანური ღვინო; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. ფართოფარფლებიანი მექსიკური ქუდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

